ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

მარტი
№ 3 1969 წ.



ფოტო დ. იაკობაშვილის.

ისტორიულ
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
მარიამ ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქანდაკე ე. ბელაშოვა



ნ. კ. კრუპსკაია

# ვ. ი. ლენინის ცხოვრების თანამგზავრი

ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე და დიდი პედაგოგი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია, რომლის დაბადების 100 წლისთავი ახლახან შესრულდა, მატერიალურად ხელმოკლე ოჯახის შვილი იყო. იგი 1869 წლის თებერვალში დაიბადა პეტერბურგში. მამის ადრეულმა გარდაცვალებამ, 14 წლის გოგონა იძულებული გახადა დედასთან ერთად შეებმოდა ცხოვრების სიდუხჭირეს: აძლევდა კერძო გაკვეთილებს, ეწეოდა ხელნაწერთა გადაწერას, კლასიფიკაციას უკეთებდა წიგნებს კერძო პირთა ბიბლიოთეკებში. სიყრმიდანვე მძიმე შრომაში ჩაბმულმა, მაინც შესძლო გიმნაზიის ოქროს მედალზე დამთავრება. მიუხედავად დიდი სურვილისა, მან ვერ მოახერხა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა (იმ დროს, საერთოდ, ქალებს დაახშული ჰქონდათ გზა უმაღლესი განათლებისაკენ). მოგვიანებით ბესტუჟევის ქალთა კურსებზე ჩაირიცხა, ფიზიკა-მათემატიკის განხრით, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ეს არ იყო მისი მოწოდება და კურსები მიატოვა.

მამის სიცოცხლეში (ნადეჟდა კრუპსკაიას მამა „არასაიმედო პირად" ჰყავდა მიჩნეული პოლიციას) მათ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ რევოლუციურად განწყობილი ადამიანები. მათმა საუბრებმა გარკვეული გავლენა მოახდინა გოგონას შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე. თითონ დუხჭირ ცხოვრებაში მყოფი, მხურვალე თანაგრძნობით განიმსჭვალა მშრომელი ხალხის მიმართ. გოგონა არდადეგებს სოფელში ატარებდა, გლეხებს შორის ტრიალებდა, მძიმე სოფლურ შრომაში მონაწილეობდა, ამიტომ კარგად იცნობდა მათ ბედუკუღმართობას, მათ გასაჭირს.

90-იანი წლებიდან ნ. კრუპსკაია პეტერბურგში — საკვირაო სკოლაში მუშაობს. ეს სკოლა, სადაც მან ხუთი წელი დაჰყო და სადაც უმთავრესად მუშები მეცადინეობდნენ, გადაიქცა მისი მარქსისტული გათვითცნობიერების, მისი იდეურ-პოლიტიკური ზრდის ნამდვილ სკოლად. 1890 წელს იგი შედის სტუდენტთა მარქსისტულ წრეში. წრე

მუშათა ცენტრში — შლისელბურგის ტრაქტზე მდებარეობდა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული წარმატებით ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას, კიდევ უფრო უახლოვდება მუშებს, მტკიცედ უკავშირდება მათ. აქვე შეხვდა იგი ვ. ი. ლენინს, და 1895 წელს აქტიურად ჩაება მის მიერ ჩამოყალიბებულ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" საქმიანობაში, მონაწილეობდა არალეგალური რევოლუციური ფურცლების ბეჭდვასა და გავრცელებაში.

1896 წელს ნ. კრუპსკაია დააპატიმრეს. 7 თვის საპყრობილეში ყოფნის შემდეგ, სამი წლით უფის გუბერნიაში გადაასახლეს. დიდი ცდის შედეგად მან უფლება მისცეს გადასახლების ვადა მოეხადა მინუსინსკის ოლქის სოფელ შუშენსკოეში, სადაც ვ. ი. ლენინი იყო გადასახლებული. აქ ისინი დაქორწინდნენ. გადასახლების უკანასკნელი წელი ნ. კრუპსკაიამ უფაში გაატარა. 1901 წლიდან ნადეჟდა კონსტანტინეს ასული უცხოეთშია, ემიგრაციაში მყოფ ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან. აქ იგი აქტიურად ებმება ლენინის მიერ ახლადდაარსებული ბოლშევიკური გაზეთის „ისკრის" მუშაობაში. არის რედაქციის მდივანი. რედაქციის მიმოწერა, მკითხველებთან კავშირის დამყარება, გაზეთის ტრანსპორტირება მას აკისრია და შესანიშნავადაც უძღვება ამ დიდ საქმეს, ამასთან, ლენინის მითითებით ატარებს ორგანიზაციულ მუშაობას რსდმპ II ყრილობის მოსამზადებლად. ამავე დროს დიდ ინტერესს იჩენს პედაგოგიკის საკითხებისადმი, თვალყურს ადევნებს პედაგოგიურ ლიტერატურას, ეცნობა სასკოლო მუშაობის საქმეს უცხოეთში, თანამშრომლობს პედაგოგიურ ჟურნალში.

შინ, ოჯახში კი უჩვეულო სითბო და მყუდროება სუფევს, შეთანხმება და ურთიერთგაგება, პირადული და საზოგადოებრივი ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ვლადიმერ ილიას ძეს, რომელიც უდიდეს თეორიულ და ორგანიზაციულ მოღვაწეობას ეწევა, მუშაობის ყველა პირობას უქმნის მეუღლე.

ნ. კრუპსკაია თავისუფლად ფლობდა სამ უცხო ენას: გერმანულს, ფრანგულს, ინგლისურს; სწავლობდა პოლონურსა და იტალიურს. ენების ცოდნა მას უადვილებდა კონტაქტების დამყარებას.

მენშევიკების მიერ გაზეთ „ისკრის" ხელში ჩაგდების შემდეგ, ნ. კრუპსკაია ბოლშევიკური გაზეთის „ვპერიოდის" რედაქციის მდივნად მუშაობს.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში — 1905-1907 წლებში — ნ. კრუპსკაია პეტერბურგშია და დიდ პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა. 1907 წლიდან კი კვლავ ემიგრაციაშია ვ. ი. ლენინთან ერთად და ბოლშევიკური გაზეთის „პროლეტარის" მდივნად მუშაობს.

რსდმპ პრაღის პარტიული კონფერენციის შემდეგ (1912 წელი) ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია კრაკოვში გადავიდნენ. აქ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული პრაქტიკულად ეხმარებოდა ლენინს რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებთან, გაზეთ „პრავდასთან", მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციასთან კავშირის დამყარებაში. პირველი მსოფლიო ომის წლებში ნ. კრუპსკაია აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზღვარგარეთის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობაში. 1915 წელს იგი შედიოდა ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე წარგზავნილ რუსეთის დელეგაციის შემადგენლობაში.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, 1917 წელს ნ. კრუპსკაია პეტროგრადში ბრუნდება და მუშაობს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში, დიდ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწევა მუშა ქალებთან, ჯარისკაცების ცოლებთან, ახალგაზრდობასთან. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში მუშაობს პარტიის ვიბორგის რაიკომში და სმოლნიში.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ნ. კრუპსკაია განათლების ფრონტზე იწყებს მოღვაწეობას — განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრია, 1929 წლიდან — რსფსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე. არის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული იყო პარტიის ყველა ყრილობის მონაწილე (გარდა I და V ყრილობისა).

1924 წლიდან არჩეული იყო ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრად, 1927 წლიდან კი — პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

განუზომელია ნ. კ. კრუპსკაიას ღვაწლი საბჭოთა პედაგოგიკის განვითარებაში. მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დაყრდნობით, მან შეიმუშავა კომუნისტური აღზრდის მთელი რიგი საკითხები. იგი იყო ჩვენს ქვეყანაში პიონერული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. განსაკუთრებით დიდია ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის ამაგი ბავშვთა სკოლისგარეშე აღზრდისა და მოზრდილთა განათლების საქმეში. არანაკლები წვლილი მიუძღვის მას საზოგადოებრივ შრომაში ქალთა ფართო მასების ჩაბმის, მათი კულტურული და პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეშიც.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ადამიანთა შეცნობის, მათი გაძღოლის დიდი უნარით იყო დაჯილდოებული. იგი ეკუთვნოდა იმ მებრძოლთა რიცხვს, რომელთაც ვ. ი. ლენინი „სოციალიზმის მოციქულებს" უწოდებდა.

ნ. კრუპსკაიას მთელი ცხოვრება ეს არის პარტიისა და ხალხის საქმისათვის, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის ბრძოლის შესანიშნავი მაგალითი, მის სახელს ყოველთვის მადლიერებით და პატივისცემით მოიგონებს ჩვენი ხალხი.

დოცენტი ნინო ძაძიშვილი





— ქალთა საერთაშორისო კონგრესისათვის მზადების ცენტრში, — თქვა სესილ იუქელმა, — თავისთავად ცხადია, დგას ქალთა და ბავშვთა უფლებების, ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალური პროგრესისა და მშვიდობის მოპოვება და დაცვა.

ქალები თანდათან რწმუნდებიან, რომ პროგრესის მიღწევა, რომელ დარგშიაც არ უნდა იყოს, მხოლოდ მტკიცე ბრძოლით შეიძლება, რომ ადამიანი ვერაფერს ვერ მიიღებს ტყუილ-უბრალოდ. ამის შეგნება ძალასა და ენერგიას მატებს მათ აქტიური მოქმედებისათვის

მთელ მსოფლიოში მილიონობით ქალი იბრძვის ვიეტნამში ომის შეწყვეტისათვის. მათი სოლიდარობა, მოძრაობა თავისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის მებრძოლი გმირი ხალხის დასაცავად, სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ქალები ამხილებენ ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებს, ხალხთა ყურადღებას ამახვილებენ პატრიოტი ქალების უმაგალითო თავგანწირულებისა და ბავშვების ტანჯვისადმი.

X) იბეჭდება მცირე შემოკლებით.

# ქალთა საერთაშორისო კონგრესის შესახვედრად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიეტნამელ ქალთა კავშირის მიწვევით, გასული წლის შემოდგომაზე მე ხანოიში ვიყავი, საკუთარი თვალით ვიხილე თუ რა მოუტანა ვიეტნამელ ხალხს ამერიკელთა აგრესიამ და რა უსაზღვროა ჩვენი ვიეტნამელი დების ნებისყოფა.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნოს ინიციატივით, ქალთა საერთაშორისო დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს წევრი და ფრანგ ქალთა კავშირის თავმჯდომარე მადამ იუსმანი, 1968 წლის 15 ოქტომბერს მილიონობით ქალთა სახელით მიმართა პარიზის მოლაპარაკებაზე წარგზავნილ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს და მოსთხოვა — აუცილებლად შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

დიდი დრო იქნებოდა საჭირო იმისათვის, რომ მომეთხრო ქალთა საერთაშორისო ფედერაციის ყველა გამოსვლაზე, როცა ქალები უფრო აქტიურად, ვიდრე ოდესმე, ხალხს. ქალები მთელ ძალებს მიმართავენ იქითკენ, რომ ბონი არ გახდეს ატომური იარაღის მფლობელი.

დიდია ქალთა სოლიდარობა ჩვენი დების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, დებისა, რომლებიც იტანჯებიან პორტუგალიის, ესპანეთის, საბერძნეთის, პარაგვაის, ბრაზილიის, გვატემალის, გაიტის, აფრიკისა და აზიის ქვეყნების საპყრობილეებში. ფაშისტები, რასისტები და კოლონიზატორები ქალთა „თანასწორობას" მხოლოდ ერთ რამეში ცნობენ: მათ მამაკაცების თანაბრად დევნიან, საპყრობილეებში ყრიან, ხოცავენ... ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული მიღწევები: პორტუგალიის ხელისუფლება იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა აიდა პაულა, პარაგვაისა — ცილბერტ ვერდენი. განთავისუფლებულია ზოგიერთი ბერძენი პატიმარი ქალიც.

რამდენიმე სიტყვა წმინდა ქალურ მოთხოვნებზე, გატარებულ აქციებზე და იმ აქციებზე, რომლებიც მზადდება 1968 წელს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო წელს,

მიმდინარე წლის ივნისის შუა რიცხვებში ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გაიხსნება ქალთა საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც იწვევს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია.

კონგრესი ეძღვნება ერთ-ერთ საჭირბოროტო საკითხს — „ქალის როლი თანამედროვე მსოფლიოში", ამიტომ სავსებით კანონზომიერია ფართო საზოგადოების ინტერესი ამ კონგრესისადმი.

ჩვენ ვთხოვეთ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალურ მდივანს სესილ იუქელს მოეთხრო ჩვენი მკითხველებისათვის თუ როგორ მიმდინარეობს ქალთა ამ ფორუმისათვის მზადება.

იგი მოითხოვს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების სამართლიან გადაჭრას. ეს ეხება მაგალითად, ისრაელის აგრესიის მსხვერპლის — არაბული ქვეყნების დაცვის კამპანიას, ევროპასა და აზიაში მშვიდობის შენარჩუნების კამპანიას. შეშფოთებითა და მღელვარებით ვადევნებთ ჩვენ თვალს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნეონაციზმის აღორძინებას, რაც საფრთხეს უქმნის უშიშროებას ევროპის კონტინენტზე. ჩვენ მოვითხოვთ იმ რეალური სიტუაციის აღიარებას, რომელიც შეიქმნა მსოფლიოში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებული საზღვრების ცნობას; აღვნიშნავთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეტენზიის უსაფუძვლობას, თითქოს იგი წარმოადგენდეს მთელ გერმანელ გამოდიოდნენ მოთხოვნით — ნამდვილად განხორციელდეს ფორმალურად აღიარებული მათი უფლება შრომასა და განათლებაზე, პატივი სცენ მათ ადამიანურ ღირსებებს.

ფორუმები, საუბრები მრგვალი მაგიდის ირგვლივ, სემინარები და კონგრესები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სოციალური ფენის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ქალები, საშუალებას იძლევა გავუზიაროთ ერთმანეთს შეხედულებანი და გამოცდილებანი, რათა ერთობლივად ჩავატაროთ ახალი გამოსვლები და კამპანიები. ასე იყო, მაგალითად, საფრანგეთში, ურუგვაიში, ეკვადორში, კიპროსზე, ტოგოში, ავსტრალიაში.

საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებში ქალთა ორგანიზაციები სხვადასხვა პროფესიონალურ გაერთიანებებთან ერთად, აქტიურად იბრძვიან მამაკაცთან თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე პროფესიული სწავლების განხორციელებისათვის.

გასული წლის ივნისში ფედერაციამ ჩაატარა სემინარები ჩილეში და მექსიკაში (ეს უკანასკნელი მოეწყო იუნესკოს დახმარებით). კონფერენციაზე ჩამოვიდნენ ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის (გარდა კოლუმბიისა და ნიკარაგუასი) დელეგატები. მიღებული დოკუმენტები მოწმობენ ამ კონტინენტის ქალთა ერთსულოვან მისწრაფებას — ბოლო მოუღონ შიმშილს, უცოდინარობას, დაავადებებს, უმუშევრობას.

იაპონიასა და ინდოეთში მიმდინარეობს მტკიცე ბრძოლა საბინაო მშენებლობის გაიაფებისათვის, სიძვირისა და მაღალი გადასახადების წინააღმდეგ.

სირიის ქალთა კავშირმა ფედერაციას გამოუგზავნა თავისი მუშაობის შემაჯამებელი მიმოხილვა, ომის მძიმე პირობებში იგი აგრძელებს ბრძოლას წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ, აღწევს იმას, რომ შეიქმნას საბავშვო ბაღები.

სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც ქალთა თანასწორობა და ბავშვებზე ზრუნვა ცარიელ ფრაზას არ წარმოადგენს, მთავრობა სახსრებს არ იშურებს მათი ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას.

ყველა იმ პრობლემის გადაჭრისას, რომლებიც ეხება სოციალურ უსამართლობას —შიმშილს, სიღარიბეს, ჩაგვრას, წერაკითხვის უცოდინარობას, დაავადებებს — ჩვენი ფედერაცია თანამშრომლობს მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. როგორც წინათ, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია ისწრაფვის კიდევ უფრო გააფართოოს თანამშრომლობა ქალთა და ახალგაზრდობის სხვადასხვა ორგანიზაციებთან, პროფესიულ და მშვიდობის დამცველთა ორგანიზაციებთან.

ახლა ჩვენ ვამზადებთ ფედერაციის საქმიანობის შემდგომი 5 წლის გეგმას და მას წარვუდგენთ ქალთა საერთაშორისო კონგრესს ჰელსინკში.

შემიძლია გითხრათ, რომ 91 ქვეყანამ უკვე განაცხადა კონგრესში მონაწილეობის სურვილი, ხოლო 12 საერთაშორისო ორგანიზაციას გათვალისწინებული აქვს თავიანთი წარმომადგენლები მოავლინონ კონგრესზე. 8 სხვა ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ დაუსახელებია თავისი დელეგატები, მაგრამ მათ დაინტერესება გამოიჩინეს კონგრესისადმი — ეს არიან სრულიად აფრიკის ქალთა კონფერენცია, მეანთა საერთაშორისო კავშირი, ფხიზელ ქალთა საერთაშორისო ქრისტიანული კავშირი, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალთა საერთაშორისო ლიგა, დემოკრატ-იურისტთა საერთაშორისო ასოციაცია. იუნესკო ამჟერადაც, უთუოდ, გამოგზავნის თავის მეთვალყურეს.

კონგრესისათვის მზადების საქმეში მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს სოლიდარობის ისეთი ფორმის გამოვლინებას, როგორიცაა იმ ქვეყნების სასარგებლოდ სახსრების შეგროვება, რომლებსაც ფინანსური დაბრკოლების გამო არ შეუძლიათ თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნონ ჰელსინკში. ეს კამპანია მიმდინარეობს ავსტრალიაში, საფრანგეთში, დასავლეთ ბერლინში, საბჭოთა კავშირში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში და აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში. ავსტრალიის ქალებმა, მაგალითად, ფული შეაგროვეს აზიის ერთი დელეგატისათვის, დასავლეთ ბერლინელებმა — ვიეტნამელი მეგობრისათვის. ჩვენს საყვარელ დიასახლისებს, ფინელ ქალებს, განზრახული აქვთ გაჰყიდონ 50 ათასი ცალი ღია ბარათი კონგრესის ემბლემით, რათა დაფარონ კონგრესის ხარჯები და გაზარდონ სოლიდარობის ფონდი.

დაე, იზეიმოს მთელ მსოფლიოში ხალხთა მეგობრობამ და მშვიდობამ, ცხოვრება ჩვენს პლანეტაზე გახდეს კიდევ უფრო ლამაზი, შინაარსიანი და ჰუმანური.

ჟურნალი „სოვეტსკაია ჟენშჩინა“

№ 1, 1969 წელი.



# მარადმთიან სოფელში

„თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო“...

ზამთარი რომ სულის ღაფვას დაიწყებს, ცივ ქარს რაღაც შორეული, გასაღვიძებლად შეშმუშნული ბუნების სურნელი მოჰყვება...

„თებერვალი დადგაო“ — იმეორებენ ბავშვები საყვარელი ლექსის სტრიქონებს. დადგა და დადგეს! ჩუმად, მორცხვად მოვიდეს პირველი ია, თოვლი გადააგდოს პატარა მხრებით, გაიცინოს ლურჯი თვალებით. იქნებ ვინმე მადლიანმა გაიგონოს მისი ჩურჩული და ყინვისაგან დაბუხული ხელით მოსაწყვეტად წასწვდეს. დაე, ასე იყოს. პირველი გაზაფხულის სანაცვლოდ იქცეს. იქ, ქვევით, მიწაში ზოგს უკვე უვლის ტანში მწვანე ჟრუანტელი. ახ, როდის ამოიწვერებიან, აღაანდებიან იონჯა და კიმოთელა, წითელი და ყვავილა სამყურა. როდის მობერავს ერწოს ტბაზე გრილი ნიავი, ააბიბინოს ტბაცა და საძოვრებიც, ტალღებად აკეც-დაკეცოს. როდის დაიშრიალებს ფიჭვნარი. როდის გაშლიან კარავს გეოლოგები, აგერ თორმეტი წელი რომ ჩაჰკირკიტებენ ნიადაგს. როდის გაითამაშებს ფეხჩვილი ხბო და ალერსიანად როდის დაიზმუვლებს დედა პირუტყვი. და ყველაფერი ისევ განმეორდება, როგორც შარშან, როგორც შარშანწინ, იმის წინ და ისევ იმის წინ...

პატარა, სწრაფი და ტანდაბალი მოხუცი ქალი მოდგება ისევ ბინების კართან, ხელში ახალი, ქათქათა რძით სავსე სარძეულათი. დალოცვილი იალაღები, ბარაქიანი, ნოყიერი. ბალახი რძით სავსე. მოხუცი რიერაჟზე ადგა. ცურები ჩამობანა, საკვები მისცა პირუტყვს. ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს. ოცდაოთხი წელია მათ მოვლა-პატრონობაშია. ამიტომ ეს წესი და რიგი ხუთი თითივით აქვს შესწავლილი. ყველის ამოსაყვანად რომ მიჯდება, ფიქრით თავისებს მიწვდება ხოლმე: შვილებივით დაზრდილ 6 ძმისშვილს. მანამ დაზრდიდა და დაავაჟკაცებდა, უყვარდათ რომ მოუცუცქდებოდნენ, ჰყინტ ყველს ხელიდან აცლიდნენ ხოლმე. ასე დაზარდა, გაჭირვებით, დალხინებით, ტკივილითა და სიხარულით. უყვარდათ მეზობლებს, ნათესავებს, უყვარდა სოფელს, მისი კარგი ქალობისათვის. ჩამოყალიბდა თუ არა კოლმეურნეობა, მაშინვე საძმო საქმეს მიაშურა — მეც მიმიღეთ, მეც თქვენთან ერთად მაშრომეთო. „ყანა და სიმინდი... კალო და ჰარხ...



მწველავი ქ. მაჭარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზნაურის რაიონში

ხელებით ვმუშაობდი, ამ თითებით ვარჩევდი, სად იყო ტრაქტორი და კომბაინი, ვბარავდი, ვმარგლიდი“ — ახლაც შეუტევს ხოლმე ახალგაზრდებს: „ახლა რა გიჭირთ. თქვენია ყველაფერი...“ მაშინ კი, 1937 წელს საბავშვო ბაგა რომ გახსნეს, ოთხმოცდახუთმა დედამ ანდო ეკატერინე მაჭარაძეს თავისი პატარა. გამოუძახეს და უთხრეს, უნდა ითავოო. სამი წელი იმუშავა. ცხინვალშიც გაგზავნეს კურსებზე, უკეთ იმუშავებო... ომი რომ დაიწყო, გულმა აღარ მოუთმინა, ისევ მინდვრად გავიდა, ვაჟკაცების ნაცვლად. ნელინელ მობრუნდნენ კაცები, ნაიარევებით, ყავარჯნებით, გამარჯვებული გულებით. როსტომ სიქტურაშვილი რომ დაინახა, სიხარულის ცრემლი მოადგა თვალზე. ვალმოხდილი ვაჟკაცი ფერმაში ტრიალებდა. მივიდა და უთხრა, მეც ფერმაში მამუშავეთო. ჰოდა, იმის შემდეგაა, რომ ველარ შორდება შეჩვეულ საქმეს. დრო კია რომ დაისვენოს. სამოცდაორი წელი აძლევს ამის უფლებას. მაგრამ, ვერა, ვერ მიატოვებს. ვერ მიატოვებს ზამთრის სადგომსა თუ ზაფხულისას. რომ დაისვენოს, თვალში მოაკლდება ეს მთები, ერწოს მიდამოები. თავადაც მოაკლდება ამ ახალგაზრდებს. მისი გამოცდილი სიტყვა და ხელი ბევრ რამეს ნიშნავს მათთვის. რა ვუყოთ, რომ უფრო ნასწავლები არიან — გულნაზი საძაგლიშვილი აღმრიცხველია, ზემა ტატაევა — ვეტფერშალი. აგერ, კიდევ ხალმფამგომელი სონია ჯიოევა. მასთან შედარებით ახალგაზრდები არიან, ბევრად უფრო ახალგაზრდები. მაგრამ საერთო საქმემ დააახლოვა. ეს საქმე მათი სიამაყეც არის. ეამაყებათ ერთმანეთის წარმატება. როცა პირუტყვი იალაღზე თავჩარგული მიიზლაზნება, ისინი ერთად ჩამოსხდებიან ხოლმე. ითვლიან და რიცხავენ ერთმანეთისას: თავად ეკატერინეს 11 ძროხა და 8 ხბო ჰყავს მიბარებული. 14 ტონა და 115 ლიტრი რძე ჩამოწველა.

— საშუალოდ რამდენი გამოდის? — ეკითხება აღმრიცხველს. გულნაზი რაღაცას ითვლის თავისთვის. ფანქარს და ქაღალდს იშველიებს და აცხადებს, რომ ეკატერინე მაჭარაძემ 1 ძროხაზე საშუალოდ 1383 ლიტრი რძე ჩამოწველა, ნაცვლად 820 ლიტრისა.

მერე სონია ჯიოევა წამოყელყელავდება. მასაც 14 ტონა რძე აქვს ჩაბარებული 12 ძროხიდან. მასაც მაღალი ციფრი გამოსდის — 1 ძროხაზე საშუალოდ 1233 ლიტრი. გეგმა კი 820 ლიტრს ითვალისწინებდა. უხარია, ქვრივ ქალს, ხუთი ბავშვი ჰყავს გამოსაზრდელი. „სოფელი ღონიერიაო“ — მართლაც ბრძნულად უთქვამს ხალხს. ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობიდან კარგა მოშორებითაა მაღალმთიანი სოფელი ხალმფამგომი. სოფელი პატარაა, 16 კომლი ცხოვრობს სულ-ავიდა იქ თამჯდომარე როსტომ სიქტურაშვილი და ავნევში ჩამოიყვანა უკაცოდ დარჩენილი ოჯახი. დაეხმარა, დაასახლა, ახლა სადარდელი შემოაკლდა ქალს: რიმამ, რაიამ და ვადიკომ საშუალო სკოლა დაამთავრეს. ერთი ხილის შემსყიდველ პუნქტში მუშაობს, მეორე გვერდში ამოუდგა, ისიც მწველავია, ვადიკო კოლმეურნეა, 16 წლის ედიკი და 13 წლის როსტიკი ჯავის სკოლა-ინტერნატში სწავლობენ; სოფელი ღონიერია, ღონიერი!..

ზემა ტატაევას რაღაც გაახსენდა და იცინის. ის აქ ყველაზე ახალგაზრდაა. ზემოდვანელი, თმახუჭუჭა ქალი არც თუ ისე დიდიხანია რაც აქ, ფერმაში მოვიდა. ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ავნეველებთან გამოგზავნეს. პირზე ღიმილი იშვიათად მოშორდება. მაშინაც კი იცინოდა, 5 თვის ბიჭუნა რომ მიიკრა მკერდზე და მთაში ზაფხულის საძოვრებზე წაიყვანა. განა გმირობა არაა ქალისაგან ეს მოქმედება? განა გმირობა არაა, სტუდენტი ქმარი იმედიანად გაუშვა სასწავლებლად და უთხრა, რომ ოჯახს არა დააკლდება რა. განა გმირობა არაა, თავადაც შრომას მოუწყვეტლად სწავლობდე და წელიწადში ორჯერ ზოგჯერ ფეხით გაიარო კილომეტრები, რომ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტიდან, ახმაურებული აუდიტორიებიდან კვლავ იალაღებზე ამოხვიდე! ახალგაზრდა ვეტფერშალი ყველას უყვარს. მაგრამ მას მაინც რამდენიმე მტერი ეგულება ამ ქვეყნად. ესენია: დისპეპსია... პარატიფი... ემკარი... გემორაგია... ფასციოლიოზი... კიდევ ჩამოვთვალოთ? განა ეს საკმარისი არაა იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ უძილო ღამეები, პროფილაქტიკა, ვაქცინაცია, თერმომეტრი და ათასი წვრილმანი, მეტად მნიშვნელოვანი, მეტად გადამწყვეტი, რომ გადაარჩინო საქონელი, ხელი შეუწყო შენს კოლმეურნეობას წინსვლაში, წარმატებაში, დაიმსახურო ხალხის მადლობა და სიყვარული?

როდესაც ზემას შევეკითხეთ, რატომ აირჩია მაინცდამაინც პედაგოგის პროფესია, როდესაც საბუთები ინსტიტუტში შეჰქონდა, იგი ოდნავ შებორძიკდა. მერე ნათელი თვალებით შემოგვხედა და თქვა, რომ სულერთია, იგი არ დატოვებს შეჩვეულ საქმეს, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც აქ დარჩება. და ამას ადასტურებდნენ მისი მეგობარი ქალებიც. ისინი ხომ ყოველმხრივ ეხმარებიან ახალგაზრდა დედას. ღელავენ, როდესაც გამოცდების პერიოდი ახლოვდება და მთიანი ბილიკებით დიდ სამანქანო გზაზე იმედიანი სიტყვით აცილებენ. — ნუ გეშინია, აქ არაფერი წახდება. მეც შემიძლია მივხედო პირუტყვს. — ეჩურჩულება გულნაზ საძაგლიშვილი, რომელსაც თურმე მართლაც შეუძლია შეასრულოს ზოოტექნიკოსისა და ვეტფერშლის მოვალეობა, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს.

შარაგზაზე მიმავალი ახალგაზრდა ქალი კიდევ ერთხელ იხედება უკან. იქ მეგობრები დგანან.



მწველავი კ. მაჭარაშვილი და აღმრიცხველი გ. საძაგლიშვილი

**ნაზი კილასონია**

## ზნაურის რაიონში

# ოსეთის შვილი



ჰაერში თვითმფრინავების გუგუხი მიყუჩდა. ახლა ტანკები გადავიდნენ იერიშზე. ფანტასტიკური ურჩხულებივით მიგრუხუნებდნენ ჯავშანასხმულნი და მუხლუხებით სრესდნენ, ზარბაზნების ცეცხლით ცელავდნენ ყველაფერს.

ჯარისკაცები მიდიოდნენ ბომბებით გადათხრილ, გადამწვარ მიწაზე, მიდიოდნენ და ამ წუთს ყველანი საოცრად გავდნენ ერთმანეთს. ყველას ერთნაირი სახე ჰქონდა: დაღლილი, ნაწამები, მაგრამ იმედითა და რწმენით სავსე.

— დავცხოთ, ბიჭებო, დავცხოთ! — დაიძახა ვილაცამ და ტანკზე წამოიმართა. ხელში წითელი დროშა ეჭირა და აფრიალებდა.

— რას შვრები, რას, ვალოდია? — მოისმა ქალის განწირული ხმა. იგრიალა მტრის ტყვიამაც და მოცელილი ვაჟკაცი უგონოდ დაეცა. თეთრხალათიანი ქალი მიიჭრა მასთან, მეორე ამხანაგი წამოეშველა და დაჭრილი სამშვიდობოს გაიყვანეს.

— ზოია!

— რა გინდა?

— მობრუნდი ჩემსკენ!

— აჰა, მოვბრუნდი, რა გინდა!

— მიამბე რამე შენი ცხოვრებიდან.

— მერამდენედ გიამბო?

— მეასედ, მეათასედ.

— მზიურ ქვეყანაში დავიბადე, — დაიწყო ზოიამ,—ჩემს სოფელს ერგნეთი ჰქვია— ჭალებით, ველებით, ხევებით, მთებით, ნაკადულებით. ზაფხულში საქონელს დავდევდი, ზამთარში წიგნებს ვეჯექი. იქ გავატარე ჩემი ბავშვობა. დედაჩემს ანა ჰქვია, მამას — ნიკოლოზი. ორი ძმა მყავს — შოთა და ვახტანგი. დავამთავრე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და ომიც დაიწყო. შეგხვდი შენ და ვიქორწინეთ. შენ ფრონტზე გაგაგზავნეს, მე რაღა დამაყენებდა შინ, მოხალისედ დაგედევნე. ორი წელი გეძებე და ძლივს გიპოვნე.

— მიპოვე განსაცდელში და სიცოცხლე შემინარჩუნე. ერთი თვეა ჩემს საწოლს არ მოცილებიხარ...

ნისლი გადაფანტულიყო. ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ქალმა ღრმად შეისუნთქა ფიჭვისა და დაცვარული ბალახის სურნელება. სადღაც შორს გაისროლეს, საიდანღაც ნაღვლიანი სიმღერის ხმა ისმოდა. იქვე ახლოს ბუ კიოდა.

— რა საცვხიერი ღამეა, — მძიმე და სევდიანი ხმით თქვა ვალოდიამ, — ხვალ შენ წახვალ და ვინ იცის, როდის ვნახავთ კიდევ ერთმანეთს, მერე ცოტა ხანს იყუჩა და კვლავ განაგრძო: — თავს გაუფრთხილდი, წერილები ხშირად მომწერე...

მეორე დღეს გამთენიისას ზოია კოჩიევა ფრონტს დაუბრუნდა. მისი მეუღლე ვალოდია იაკოვლევი კი რამდენიმე თვეს ჰოსპიტალში მკურნალობდა. ზოიას თავგანწირვაზე ხშირად წერდნენ გაზეთები, ფოტოსურათებსაც ათავსებდნენ. ყბა-სახის ქირურგს ზოია კოჩიევას არ ჰქონდა ძილი და მოსვენება, არ ჰყოფნიდა მედიკამენტები. ვაჟკაცურად უძლებდა შიმშილს, სიცივეს. მის შესახებ ბრძანება ბრძანებაზე იწერებოდა.

„მედსამსახურის უფროსი ლეიტენანტი ზ. კოჩიევა სამამულო ომის ფრონტებზეა 1943 წლის მაისიდან. არმიაში მუშაობს ექიმ-სტომატოლოგად. 1943 წლის ოქტომბრიდან მონაწილეობს ჩვენი არმიის მიერ პოლონეთის, პრუსიის, ბელორუსიის განთავისუფლებისათვის წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში. ქირურგიულ ოპერაციებს კარგად არის დაუფლებული. კენიგსბერგისათვის ბრძოლებში დღედაღამ მუშაობდა. ქირურგიული დახმარება გაუწია 41 დაჭრილს.

ვშუამდგომლობ დაჯილდოვდეს მთავრობის ჯილდოთი — „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით. მედსამსახურის მაიორი კონიუხოვი, 14 აპრილი, 1945 წელი“.

„ღირსია დაჯილდოვდეს მთავრობის ჯილდოთი — „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით. 50-ე არმიის მედსამსახურის უფროსი, მედსამსახურის პოლკოვნიკი გუშჩინი, 18 აპრილი, 1945 წელი“.

„ღირსია დაჯილდოვდეს მთავრობის ჯილდოთი — „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით, 50-ე არმიის ზურგის უფროსი, გენერალ-მაიორი ქესაევი, 23 აპრილი, 1945 წელი“...

გადაიარა ომის საშინელებამ. იგრიალა გამარჯვების სალუტმა. დამთავრდა ომი და ზოია დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. მისი მეუღლე ვალოდია იაკოვლევი კი აღარ დაბრუნებულა.

ზოია კოჩიევა 24 წელია თბილისის მეხუთე სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მუშაობს ექიმ-სტომატოლოგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვესტუმრეთ ზოიას. ექიმ-სტომატოლოგთან მოვიდა გოგონა, რომელსაც კბილის ტკივილი აწუხებდა. მას ზედა და ქვედა ყბები არაშესაბამისად ჰქონდა განვითარებული. სტომატოლოგმა ბავშვს კბილი ამოუღო, ექთანს დაუძახა და ატირებული გოგონა გარეთ გააყვანინა.

ექიმმა დედის ყურადღება მიაქცია ბავშვის ყბა-სახის განვითარების სიმახინჯეს, მკვეთრად წინ წამოწეულ ნიკაპს, ჩავარდნილ ზედა ტუჩს, ნახევრად გაღებულ პირსა და უსწორმასწორო კბილებს.

— რა ვუშველოთ? — სთქვა დანაღვლიანებულმა დედამ.

— შეიძლება ამ დეფექტის მკურნალობა! — დაიმედა მშობელი ექიმმა. — ერთი კვირის შემდეგ მოიყვანეთ ბავშვი ჩემთან...

ხშირად იღება კაბინეტის კარი, მოდიან მასთან შეწუხებული ადამიანები და ბრუნდებიან დამშვიდებულნი, კმაყოფილნი.

წლები მიდის. ზოიას ერთადერთმა ქალიშვილმა დიანა იაკოვლევამ ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და ამჟამად ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია.

ზნაურში თვალსაჩინო ადგილას საპატიო დაფა დგას. აქ მოთავსებულია ომგადახდილ ადამიანთა სურათები. თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ქალის სურათი. ქვეშ აწერია: „ზოია კოჩიევა“.

# სოფლის პოემები

– მასწავლებელო, წერილია თქვენთან!

ქსენიამ ბარათი გაშალა: „ჩემო ძვირფასო მასწავლებელო, ვიცი გაგეხარდებათ, დღეს მივიღე დამსახურებული ექიმის წოდება. მეორე ამბავიც მინდა გახაროთ, ვაჟი შემეძინა. მჯერა, მინახულებთ. ჩემს დიდ ბედნიერებაში თქვენც მიგიძღვით წვლილი. თუ არა თქვენ. ვინ იცის სად გადავიჩეხებოდი გზასაცდენილი. რაც კი კარგია ჩემში, თქვენი სიკეთის წყალობით!“

მასწავლებელს თვალებში სითბო ჩაეღვარა. გაახსენდა როგორი ცელქი და დაუდგრომელი ბიჭი იყო ის. სულ მუშტზე ეჭირა თვალი. თუ სადმე ჩხუბი ატყდებოდა, პირველი მოთავე ის იყო. სკოლაში იშვია-

თად დადიოდა. მასწავლებლის თვალს არც ის გამოპარვია, რომ ბიჭი ხშირად ნასვამი იყო. მთელი პედკოლექტივი დარაზმა ქსენიამ მის გამოსასწორებლად. მიაღწია კიდეც მიზანს. დღეს იგი სახელოვანი ექიმია.

ბევრი ასეთი შემთხვევის მოგონება შეუძლია ქსენია გელუტაშვილს.

ოჯახი განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოზარდის ზნეობის ჩამოყალიბებაში. მშობლებისა და ახლობლებისაგან იძენს ბავშვი როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებს. ზ. გ. მშობლებმა სკოლიდან გამოიყვანეს, ხელში კალათი დააჭერინეს და ბაზარში დახლთან დააყენეს. ვინ არ ჩარია საქმეში მასწავლებელმა: ამხანაგები, მეზობლები, ნათესავები. ბავშვი სკოლას დაუბრუნდა. დღეს იგი ორდენოსანი აგრონომია.



მამამ მიატოვა ოჯახი, ავადმყოფ დედას ხუთი შვილი დარჩა გასაზრდელი. პ. ნ. იძულებული გახდა მიეტოვებინა სკოლა და დედას მიხმარებოდა. იმდენს ეცადა ქსენია მასწავლებელი, რომ შეაგნებინა ბავშვების მამას თავისი უღირსი საქციელი, დაანახვა თუ რა ზიანი მიაყენა მან თავის ოჯახს, შვილებს. მამა ოჯახს დაუბრუნდა. პ. ნ. დღეს ორდენოსანი მექანიზატორია.

ბავშვებს დედა გარდაეცვალათ. ობლები მეზობლების ამარა დარჩნენ. პატარა ნინომ ფეხი მოიტეხა და ორი თვე ლოგინს მიეჯაჭვა. ქსენია მასწავლებელი ყოველდღე დადიოდა ბავშვთან და ამეცადინებდა. გოგონამ წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და საყვარელი მასწავლებლის პროფესია აირჩია. დღეს ნინო საუკეთესო პედაგოგია.

იმის საუკეთესო ნიმუშს, თუ როგორი უნდა იყოს პედაგოგი, მოქალაქე, ოჯახის დედა, როგორ უნდა ზრდიდეს როგორც საკუთარ, ისე სხვის შვილებს, სწორედ ქსენია გელუტაშვილი წარმოადგენს. იგი პირადი მაგალითით უნერგავს და უვითარებს ბავშვებს, მოსწავლეებს ისეთ კეთილშობილურ თვისებებს, როგორიცაა: პატიოსნება, სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება, ერისა და ქვეყნის სიყვარული.

რამდენმა თაობამ გაიარა მის თვალწინ. რამდენი სახელოვანი შვილი გაუზარდა სამშობლოს! დრო შეუმჩნევლად გარბის. ამ გრძელ ხვეულებში მოჩანს სახეები ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანებისა. ზნაურის რაიონის ავნევის საშუალო სკოლაში, სადაც დღესაც მუშაობს ქსენია მასწავლებელი, პედაგოგებად უმეტესად მისი აღზრდილები არიან: ვასილ კვინიკაძე, გიორგი გობეჯიშვილი, გაიანე ბესტაევა, ქენია მაჭარაძე, ლავრენტი ბესაევი, გაიოზ ჭავჭავაძე და სხვები.

ოთხი შვილის დედას — ქსენია გელუტაშვილს დაულეველი ენერგია აქვს. სასოფლო საბჭოს დეპუტატად რომ აირჩიეს, მისი ინიციატივით ბევრი რამ გაკეთდა სოფელში. აშენდა ორსართულიანი სახლები, გაიყვანეს ელექტრონი, რადიო, წყალი. გამწვანდა და გალამაზდა ქუჩები. აშენდა ადმინისტრაციული შენობა, ბიბლიოთეკა, სასოფლო კლუბი, სკოლა, ფოსტა, აფთიაქი.

მედლები „შრომითი მამაცობისათვის", „შრომითი წარჩინებისათვის", „სახალხო განათლების წარჩინებული" სწორედ ხალხის სამსახურისათვის მიიღო ქსენიამ.

მაყვალა ოქროპირიძე

## გზაჯვარედინი

ჩემი გულიდან თლიდით სალამურს,
საით ცვიოდა წითელი ტკეჩი...
გეახლებოდით ყოველ საღამოს
და სალამური მტკიოდა მკერდში.
თქვენზე ოცნების ვიყავ მომთმენი,
ჩემო ასპინძავ, ჩემო კვალითო,
და ხსნად მელოდა სინათლე თქვენი,
სიწმინდე თქვენი უმაგალითო.
მიმოხაზულო ოდნავ ქედებო,
მოყვასო ჩემო, ფიქრო მტანჯავო,
ჩემო ცისფერო ალავერდებო,
ჩემო რიონო, ჩემო ცხრაჯვარო...
არ მიძებნია ბედი უებრო,
ვით ნატერფალი დინოზავრების,
შემომეჩვა ის უნებურად
და სალამურზე დამრჩა ბზარები.
გადამებინდა მომცრო აული,
გახუნდა ფერი საიმერეთო,
შემდეგ ერთბაშად გიგრძენ, მამულო,
უწეტარესო ჩემო ხმელეთო.
და მოვიტანე ტრფიალი მძაფრი,
ნისლით ნაქარგი ჩემი მერდინი...
მე დასაწყისი ვიპოვე ზღაპრის,
ვიპოვე ჩემი გზაჯვარედინი.

* * *

რა შესძლებია სიტყვას ერთსა,
კეთილო კაცო,
თვალდახუჭული ვიმეორებ:
„კეთილო კაცო".
ო, რა საოცრად ამაყი ხარ,
კეთილო კაცო,
ო, რა სასტიკი რამ ყოფილხარ,
კეთილო კაცო.
რა შესძლებია სიტყვას ერთსა!
სდუმს ტელეფონი.
ვინ შემიფერა ბაგე ცარცით,
კეთილო კაცო,
და თუ ოდესმე, თუ ოდესმე
გულს მომეფონა,
გეტყვი, უფრთხილდი სიტყვას ერთსა,
კეთილო კაცო.
შებორკილია იასამნის
მტევნებით ღამე,
და სურნელება ფანჯრებს ამსხვრევს,
კეთილო კაცო,
უჩინო თვალით იმზირება
ველური ხარი,
ფანჯრიდან ღამე იმზირება,
კეთილო კაცო.
ასე უმთვაროდ როგორ მიდის
არაგვი ნეტავ,
ასეთ ამინდში მდინარეებს
ვინ ეხმარება...
საქართველოში დაბრძანდება
ადგილის დედა,
მე მესმის მისი შარიშური,
კეთილო კაცო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა ზავლიაშვილი

# შეჯიბრი

მოთხრობა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

როცა გზა მდინარეს დაუნაპირდა, თავადაც მდინარესავით დაიკლაკნა.

წინ მიმავალ „ვოლგას“ „მოსკვიჩი“ სწორედ მაშინ დაემგზავრა, როცა გზა ხრამს გაერიდა და მთაზე აიწვერა. იქნებ უფრო ადრეც აედევნა, მაგრამ წინ წასულმა მაშინ შეამჩნია, ზევიდან ჩამოშვავებულ უზარმაზარ ლოდებს რომ გასცდა და სარკეში ახლა უკანიდან მკიდა თვალი. „ჩამოზვავებისას რომ გამომევლო, ნამდვილად ამ ხახადაღებულ უფსკრულში გადამისროდაო“, — გაიფიქრა შიშით. ბოდა, სწორედ ამ დროს გაათცა იმ პატარა მანქანის სიცქვიტემ და მოხერხებულობამ, ვეებერთელა ქვებს შორის რომ გაძვრა და მოსახვევში არც სიჩქარე გადართო და არც სისწრაფე დააგდო. უფრო ჩააცქერდა სარკეს, ჩააცქერდა და თვალს არ დაუჯერა. ახლა გვერდიდან გამოჰყო თავი. გზაზე დამდგარმა ერთი წამით გზას ყურადღება მოსწყვიტა და ამ ხიფათიანმა მთებმა კინაღამ ძვირად დაუსვეს.· მაშინვე საჭეს მოუბრუნდა. უცებ გვერდზე გადახარა და მთის ძირგამოჭრილ კედელს გააკრა მანქანა. როგორც კი საშიშროება აიცდინა, ისევ უკან გაექცა თვალი. ისევ დააკვირდა: ეჭვი არ იყო, მანქანას ქალი მართავდა. მარტოდმარტო იჯდა. კაცი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა: ამ უვალ მთებში მარტო ქალს რამ გააბედინაო ამოსვლა.

უკან მომავალი სახეზე ღიმილს არ იშორებდა და ისე თამამად მიჰყვებოდა მეგზურს, ერთხელ ჩაგდებულ მანძილს არც ამცირებდა, არც ადიდებდა.

კაცმა სიჩქარეს მოუმატა. ასეთ მიხვეულ-მოხვეულ აღმართზე ძალიან ძნელი და საშიში საქმე იყო აჩქარება. მოსახვევიდან უცებ გამოვარდნილ საბარგო მანქანას შეეძლო მარცხი რამ შეემთხვია, მაგრამ კაცი იყო და ქალთან შეჯიბრში აუცილებელი გამარჯვება მოიწადინა. ცალი თვალით სარკეს გახედა. უკან მომავალი ისევ მშვიდად და სწრაფად მიჰყვებოდა. ოღონდ ეგ იყო, ყველა მოსახვევში საყვირს აძლევდა, შემხვედრმა გზა არ გაიმრუდოს და მარჯვნივ იაროსო.

სასაუზმოდ შექუჩებული გზის მუშები ქალიანი მანქანის დანახვაზე ზეზე წამოიშალნენ. ზოგმა სტვენა დაადევნა, ზოგმა მხოლოდ ღიმილი. სხვებმა კი გაოცება და აღტაცება გინებით გამოხატეს.

ქალმა მთებს გახედა. ძალიან ლამაზი ეჩვენა იქაურობა. შეეცადა, მაგრამ ვერ გაიხსენა — თავის დროზე ეს მიწები საბარათიანოს ეკუთვნოდა თუ ჯავახიანთი იყო. ვინ იცის, ამ მთებში რამდენი მარტო ქალი ამოქანებულა ცხენდაცხენ, მაგრამ მაშინ არავინ გაოცებულა. „ახლა რად აოცებთ ჩემი გამოჩენა მანქანითო“, — გაიფიქრა, თუმცა მაშინვე გამოუტყდა თავს, რომ უკან დარჩენილთა აღტაცებული და გაოცებული მზერა ახარებდა და აამაყებდა. იცოდა: პირველი ქალი იყო ამ უღრანი მთების გზებს რომ შეუყენა მანქანა.

გვერდით ჩაქროლილმა ქუთათურმა მანქანამ გრძელი საყვირით მისცა სალამი. ერთის გაპასუხება ვერ მოასწრო, მეორე მანქანის კარებიდან თავგამოყოფილმა შოფერმა მხიარულად შემოუძახა. ნათქვამი ქარმა გაიტაცა, მაგრამ ქალი შეუმცდარად მიხვდა სათქმელს და დაგვიანებულმა ღიმილმა სახე გაუბადრა.

უცებ მინაზე წვიმის წვეთი დაეცა. ცას გახედა. ერთი წამის წინ მოკრიალებული ზეცა ღრუბლებს დაექუფრა. ლამაზი ქალივითაა მთა: ვერც შეელევი, მაგრამ ვერც ბოლომდე დაენდობიო. — გაიხსენა ვიღაცის ნათქვამი და გუნება წაუხდა. მინების გასაწმენდა აახჩაკუნა. წინ მიმავალმა „ვოლგამ“ სვლას მოუკლო და უკან მიმავალს გზა დაუთმო. ქალმა ერთი კი შესთავაზა — ისევ თქვენ იარეთ წინო, მაგრამ რაკი მოპატიჟემ იუარა, მოსალოდნელი ავდრის შიშში არ ჩამომართვასო, აჩქარდა და წინ წავიდა. ისედაც ასე დაწყვილებულად სიარული საშიში იყო. ახლად დასველებულ მიწაზე დამუხრუჭება ძნელდებოდა; შეიძლებდა შემხვედრი აცურებულიყო, თავი ვერ დაეჭირა და იმ უძირო უფსკრულში გადაეჩეხა ნაპირს მიმავალი.

წვიმა არ ხუმრობდა. უცებ გაზაფხულის შხაპუნასავით ძლიერმა თქეშმა დასცხო. აჩხაკუნებული მინწმენდები წყლის ჩამოწმენდას ვერ ასწრებდნენ. წვიმის თხელი ფარდა მანქანის წინა ფანჯარას თვალგაუვალსა ხდიდა. მთის წვერებიდან ჩახრამულ ადგილებში ნიაღვარი ღვართქაფად ეშვებოდა და გზებზე ტბისოდენა გუბეებს აყენებდა.

ქალი ფრთხილობდა, მაგრამ მაინცადამაინც არ ანელებდა სვლას. რკინა-ბეტონის მზა თაღებით დატვირთულ მანქანას წამოეწია. როგორც კი საშუალება იხელთა, ამ დაკლაკნილ გზებზე გაასწრო კიდევაც. სადა მცალია თქვენსავით კუს ნაბიჯით ვიაროო. — თქვა თავისთვის.

ადრედამგზავრებული უკან ერთგული მცველივით მიჰყვებოდა და ყველა მის ძნელ ილეთს უკლებლივ იმეორებდა.

უცებ სხვა „ვოლგა“ ჩაეხიდა წინ. ნელა მიღოღავდა, რადგან ზევიდან ისევ კოკისპირულად ასხამდა და სავალს ძნელად დასანახს ხდიდა. გზა ახლა თავქვე დაეშვა, მარყუჟივით დაიკლაკნა. წინ მიმავალი ნომერზე სახელმწიფო მანქანად შეიცნო ქალმა. ასეთებს გამოცდილი მძღოლები ატარებდნენ. მოყვარულები და ახალგაზრდები საკუთარ მანქანებზე სცდიდნენ თავსა და ღონეს.

„ეტყობა, მართლა საშიშია აჩქარება, რადგან ის კაცი ასე ფრთხილობსო“. — გაიფიქრა ქალმა და ერთხანს უკან იარა. ვეებერთელა გუბესთან იმ კაცმა მანქანა დაამუხრუჭა. მერე ნელნელა შევიდა წყალში. შუაგულში ატივტივდა, აცურდა, მაგრამ ისევ ნაზვავ ქვებზე მოიკიდა ფეხი და როგორც იქნა, თუხთუხით გავიდა წყლიდან.

ქალი წყლის პირას შედგა. „რასა შვრება ეს სულელიო“, — თქვა გაბრაზებით. მერე საყვირი აალრიალა და დიდი სიფრთხილით უკან დაწია მანქანა. რაკი პატარა გასარბენი დაიხელთა, პირველ სიჩქა-

რეში გადართო ძრავი. გაზის სატერფულს ძლიერად დააჭირა ფეხი. მთის ფერდისაკენ აიღო გეზი. უცებ შეაგდო მანქანა წყალში და ისევ უცებ გავიდა ნაპირზე. სარკეში უკან მიმავალსა ჰკიდა თვალი. როცა გული დაიმშვიდა, ისიც სამშვიდობოს გამოვიდაო, წინას წამოეწია. ისევ აალრიალა საყვირი, დაუწყვილდა და შეხედა. დაჭიმულ და ოფლით დაცვარულ სახეზე შეამჩნია, შოფერი არ უნდა ყოფილიყო საჭესთაან მჯდომი. ეტყობა უფროსმა თავისი უფლება— უფროსობა გამოიყენა და ხელის გაწაფვა მოიწადინა. ქალმა ისედაც დაბნეულ მესაჭეს ისე შემოუძახა, მანქანისათვის ღრიალი არ შეუწყვეტინებია:

— რას შვრებით, რას? ამ გზაზე ვინ გაიგონა სიარულის სწავლა და ცუღლუტობა. თავსაც დაღუპავთ და სხვასაც!

მერე ოდნავ უგვერდულა და წინ წავიდა.

გზა ჭალისპირს გაუსწორდა. წვიმამ ისევე უცბად გადაიღო, როგორც დაიწყო. მაშინვე მზემ გამოაბრწყინა. მდინარის ორივე ნაპირზე, მზითა და წყლით ნათამამებ თელებსა და მუხებს ცაში აეტანათ ფართოდ გაშლილი მხრები. ტირიფები ისე ჩახვეოდნენ ერთმანეთს, სულ დაეფარათ მიმდინარე წყალი, აქა-იქ თუ-და იელვებდა ვერცხლისფრად.

ხშირფოთლოვანი ვერხვები ჭალას ასცილებოდნენ და მთების კალთებს აჰყოლოდნენ ზევით. თავსხმას გადარჩენილი, პირდაბანილი მთაბარი მზეზე გულღიად ილიმებოდა, წვიმისაგან კიდევ უფრო გახასხასებული, მწვანე სამოსით თვალს იტაცებდა.

ამ სილამაზეს ქალი აღტაცებაში მოჰყავდა. მაგრამ დიდხანს ვერ აჩერებდა მზერას.

მანქანას მეგობარივით გადაუსვა ხელი. საჭეს ცოცხალ არსებასავით მიეფერა. ვინ იცის, რამდენი მძიმე წუთები გაუქარვა ამ უენო მეგობარმა, რამდენჯერ აუწყო ხასიათი, რამდენჯერ გაუფანტა უგუნებობა.

საჭე ხელთათმანივით ჰქონდა მორგებული. როგორც კი გასაღებს ხელს შეავლებდა და სატერფულს ფეხს დააჭერდა, ადამიანური და მანქანური ზღვარი მაშინვე იშლებოდა. ორივენი ერთსულ და ერთხორცად იქცეოდნენ და ერთმანეთის ნაფიქრალს გამოუთქმელად ხვდებოდნენ. მანქანის ფეთქვას ადამიანი საკუთარი გულის ცემასავით გრძნობდა და უსმენდა. სამაგიეროდ, მეტყველივით აგებინებდა თავის სატკივარს, უცხოთათვის შეუმჩნეველი ამოკვნესით უზიარებდა გაჭირვებას. პატრონის მხიარულ განწყო-





ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილებას ხალისიანი გუგუნით ეპასუხებოდა, წარბებს შორის შეყრილ ნაოჭებს კი ბებრის ხრინწიან ხველებას ახვედრებდა. კაცისა და რკინის ეს საოცარი მეგობრობა საოცარივე სიყვარულით იკვებებოდა, მტკიცდებოდა, ვაჟკაცდებოდა. ამ სიყვარულით ნიშნიანდებოდნენ, იდალებოდნენ და ერთიანდებოდნენ მთელი ქვეყნის შოფრები. ამ სიყვარულით ცნობილობდნენ ერთურთს, უამრავ ხალხში გამოარჩევდნენ, განასხვავებდნენ, შეითვისებდნენ. ოღონდ ეს უპირველესი ნიშანდობლივი და სხვათათვის მიუწვდომელი სიყვარული უნდა ეგრძნოთ, უნდა განეცადათ.

თენგიზი ამბობდა:

— ზოგი ოცდაათ წელიწადს შოფრობს და შოფერი მაინც ვერ არისო. იმ შოფრობასა და შოფერს შორის მიჯნას სწორედ ეს სიყვარული სდებდა. სწორედ ისევე როგორც ცხოვრებაში: ყველა კაცი ხომ ადამიანის სახეს ატარებს, ადამიანი კი ყველა არ არის.

იმ შოფრებმა ლაღობაც იციან და თამაშიც, ხანდახან—უწმაწური სიტყვა-პასუხიც, მაგრამ უგულო და უგერგილო არა სჩვევიათ-რა. რადგან მუდამ ბეწვის ხიდზე დადიან, სიცოცხლის ფასი კარგად ესმით. გაჭირვებაში ხელის გამართვასაც იმათზე უკეთესად სხვა ვერავინ ახერხებს.

ახალბედობისას ქალი ყველას ერთ ტაფაში სწვავდა. თანაბარი ზიზღითა და ამპარტავნული უკარებლობით პასუხობდა, რადგან ხშირად მწარე და უძლური ცრემლებით აუტირებიათ, უმწეო.

მანქანას ცხვირს ცხვირზე დაჯახებამდე უახლოვებდნენ, ლამის ზედ ტროტუარზე აგდებდნენ და თან გესლიანად დასცინოდნენ:

— რა შენი საქმეა მანქანა. წადი, ოჯახს მიხედე, ლობიო მოხარშე, ბალღებს საცვლები ამოურეცხე...

— ეი, ბედშავო, რას ედები მოუდებელს, როგორი ყვავილიცა ხარ, ისეთ ქოთანში ჩაჯექი...

ქალი სიმწრისაგან იკლაკნებოდა. გული ისე უწყებდა კვნესას, ყვირილს ძლივს იკავებდა, მაგრამ ვაჟკაცობდა, მაგრობდა, არა სთმობდა.

როცა გაერჩვია, კიდეც გათამამდა, განებივრდა. ავ-კარგის გარჩევაც ისწავლა და სამაგიეროს გადახდაც.

ავ-კარგის გარჩევა იოლი საქმე არ იყო, მაგრამ ძნელიც არ ეთქმოდა, რადგან თვითონ ცხოვრება მასწავლებლობდა.

ერთხელ, ქალაქში, გადათხრილ ქუჩაში გაუჩერდა მანქანა. მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა და სველმა აყალომ ჭაობივით ჩაითრია თვლები. ქალმა ერთი დაკვნესება ძლივს მოასწრო: ვაიმე, ახლა რა ვქნაო, რომ უცებ გარს ხუთი მანქანა შემოეჯარა. „ვოლგიდან“ ქოჩორდავარცხნილი, გამოწკეპილი ვაჟი გადმოხტა, სხვა მანქანებიდან გადმოსულებთან ერთად ტალახში ჩაწოლილი ციმციმ ასწიეს, სწორ გზაზე დააყენეს და ისე სწრაფად გაჰქრნენ, ფეხის დასველება კი არა, მადლობის თქმაც არ დააცალეს ქალს.

სადაც გზა იყო, შოფერი ყველგან შეხვდებოდა. ჰოდა, იმათი იმედით ვაჟკაცობდა, დიდგულობდა, თამაშობდა. იცოდა, გასაჭირში არსად დასტოვებდნენ, უშველიდნენ, უერთგულებდნენ. ოღონდ თვითონაც უნდა ეცადა, ეწადინა, თორემ...

გზამ ისევ მწვერვალებისაკენ გაისროლა წვერი. თანდათან აიმაღლა, ზევით აიზიდა, ცას მიუახლოვდა.

ქალმა ქარაფებიდან ჩამუქებულ ხევს ჩახედა. თვალი ვერ ჩააწვდინა, მაგრამ ნირი არ შეიცვალა. აქედან გადაჩეხილი შუაგზამდეც ვერ მიიტანდა სულს. ქალი კი ამ საშიშროებას აინუნშიც არ აგდებდა, რადგან აქაურობა ისეთი ლამაზი იყო, რომ აქ შავსა და ავს აღარ ედგომილებოდა. წეღან ციდან ჩამოყრილი ცრემლები, ცის მბრძანებელს ახლა ნისლად ექცია და ლეჩაქივით ზევით ამოეტაცა. მწვანით შემოსილი უფსკრული დევკაცივითა სუნთქავდა და ამონასუნთქს მთის კალთებს აფრქვევდა. მზე მოკრიალებულ ცაზე ნებივრობდა.

ერთმანეთს ადრიდანვე დამგზავრებულ, დაწყვილებულ მანქანებს ნისლი დარბაისლურ ლეჩაქში ერთად ახვევდა და ცისა და ქვეყნის თვალს აფარებდა, განარიდებდა. მერე ისევ მზე უციაგებდა სხივებს მინებზე, ერთხანს უჭიტავებდა, თვალს ახუჭინებდა და ბოლოს ისევ ბურუსით მოსავდა.

პატარა ბავშვივით აცელქებული ბუნება უდარდელი ხალისიანობით ეკეკლუცებოდა, ეთამაშებოდა და მგზავრებსაც ლაღობის გუნებაზე აყენებდა.

პირდაბანილი მთები თავიანთ შუაგულში გულღიად ეპატიჟებოდნენ, მწვერვალებით ცაში აყვანასა ჰპირდებოდნენ.

სიფრთხილისა და შიშის გრძნობა სულ უფრო და უფრო იჩქმალებოდა, ჰქრებოდა და იმის მაგივრად, სიმღერისა და სიცილის სურვილი ძალაობდა, ყველაფერს იმორჩილებდა, თრგუნავდა. ირგვლივ ყველაფერი ისეთი ნათელი, სასურველი და ადვილად ამოსაცნობი იყო, თუ სადმე ბოროტება და ეჭვი არსებობდა, ძნელად დასაჯერებელი ხდებოდა. გალაღებული ბუნება გულუხვი მასპინძელივით სულსა და გულს სასიამტკბილოდ სთავაზობდა.

აქ ყველაფერი გაწმენდილიყო, გასუფთავებულიყო, ამაღლებულიყო, აქ თუ თავდებოდა ადამიანის მიწიერება და ღმერთკაცობაში გადადიოდა. რის საფრთხე, რომელი შიში, ან წყენა, როცა ის ორნი, ერთმანეთის უკან მავალნი, ქვეყნიერების გაქალწულებისა და ამაღლების მოწმეებად და მონაწილეებად ქცეულიყვნენ. უტყვისა და მეტყველის სანეტარო განწყობილების თანამოზიარეებად ქმნილიყვნენ.

ქალმა ღიმილით შეხედა სარკეს. უკან დამგზავრებულს შესცინა. თვალი თვალს მოხვდა და უკან მიმავლის პირხმელი სახეც ღიმილმა გაანათა. ქალმა გზა დაუგდო, წინ გაუშვა, თვითონ უკან ნელა გაჰყვა. მერე ოდნავ აჩქარდა, წამოეწია, გაეთამაშა, გასწრება დაუპირა, კატასავით: თაგვს რომ გაუშვებს და მერე დაედევნება ხოლმე. კაცი გზის დათმობას არ აპირებდა, ჯიქურად შუაში მიდიოდა. სხვა დროს არც ქალი შეეპაექრებოდა, მაგრამ ახლა ეს ლამაზი გარემო-განწყობილება ათამამებდა. ერთხელაც დრო იხელთა, გასაოცარი სიმკვირცხლით უგვერდულა, ნაშალზე გადავიდა. თაგვივით გაუძვრა და წინ წავიდა.

გზამ გაივაკა და ქალმა სიჩქარეს მოუმატა. თან უკან მომავალს უცქეროდა. არ ჩამორჩეო, უკიჟინებდა, ამაღლებული მწვერვალებისაკენ, მოკრიალებული ცისაკენ ეპატიჟებოდა.

ქალი კაცს ჯირითში გაუამხანაგდა, გაუთანასწორდა, გაუთანაბრდა, მერე გასწრება მოიწადინა, ღიმილით, თამაშით, უბოროტოდ. მაგრამ ჯიუტად, გადაწყვეტილად.

კაცი წამოწევასა ცდილობდა, მაგრამ ყამირზე უტარებელს, მინდვრის გზა ნებას არ აძლევდა, იცურებდა.

ტყე ჯერ ბუჩქნარში გადავიდა, მერე ისიც გათავდა და ალპიური ზონა დაიწყო. მაღალი და ხშირი ბალახები წვიმის ცრემლებით ციმციმებდნენ ისევ. შორს საქონელი ზლაზვნით მისდევდა მწკრივს. გულხარბობდა. მსუყე და ხელუხლებელ მდელოსა სტოვებდა და სხვაგან გადადიოდა. უცებ უკან მომავალი გზას ასცდა და მინდორი ირიბულად გადაჭრა. წაქცეულმა ბალახებმა თვლების კვალი თვალსახილველად აღბეჭდეს. ქალი მიხვდა და უკან დაიხია.

— საჭეს ხელი გაუშვით, ნებაზე მიუშვით. არც მუხრუჭი გინდათ, სავალს გაუმრუდებს. — დაუძახა კეთილი ღიმილით.

კაცმა არ გამოხედა. ჩამქრალი მანქანა თუხთუხით აამუშავა. ფრთხილად გადმოიყვანა შარაზე. „ერთი წუთით მოიცადეთო“, — ქალს დაუძახა. როცა გაუსწორდა, სახეში უტეხად შეხედა და ჯიქურ შეკითხა:

— ამ საღამოს გცალიათ?

ქალი თავდაპირველად ნათქვამის აზრს ვერ მიუხვდა და ანგარიშმიუცემლად დაუბრუნა პასუხი:

— არა.

— მაშ როდის მოიცლით, დაგელოდებით.

— არასოდეს! — ისევ ანგარიშმიუცემლად გადმოუგდო გვერდიდან, მერე უჩვეულო სიმკაცრით დააწვა სატერფულს, ქვევით დაეშვა, მარცხნივ გაიხედა და, როცა შავად პირდაღებულ უფსკრულს შეხედა, მაშინ-ღა აიტანა შიშის ძრწოლამ: რა იოლად შეიძლებოდა იმ თავსხმის მერე მოცურება და ამ ურჩხულის ხახაში ჩაღუპვაო.

# იმრავლოს ბედნიერმა ოჯახებმა!



ქორწინების სახლი

ფოტო ვ. როსტიაშვილისა

ოჯახში სიხარულია მხოლოდ! პირველ დღიდანვე ახალგაზრდების ცხოვრება უნდა დაიწყოს მზიან, ხალისიან გარემოში, სიამტკბილობით. ამიტომაც ააშენეს ჩუმლაყელებმა მაღალთაღებიანი, სხივნათელი შენობა. ბედნიერების სახლი შესანიშნავი საჩუქარია სოფლის ახალგაზრდობისათვის. ეს იმ კარგი ქალიშვილებისა და კარგი ვაჟიშვილების დაფასებაა, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ, შრომობენ, სწავლობენ, ქვეყნის სასარგებლო საქმეს აკეთებენ, და რომლებიც უნდა დაწყვილდნენ ბედნიერ ოჯახებად და გამრავლდნენ მშობელი ერის საკეთილდღეოდ.



ახალდაქორწინებულნი

ერთ მშვენიერ დღეს, როცა შემოდგომა მიიწურა და მთელი წლის სარჩო-საბადებელი გულმოდგინედ დააბინავეს, ადამიანებმა ლხინისთვის და ბედნიერებისთვის მოიცალეს. წელმაგარ კახურ სოფელში, ჩუმლაყში, ამ დღისათვის პირველად გაიღო ქორწინების სახლის კარი.

ახალგაზრდობა სოფელში ბევრია, ცოლსათხოვიც და გასათხოვარიც, მაგრამ იმ პირველ დღეს ქორწილი ოთხმა ბედნიერმა გადიხადა. ჩუმლაყის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გივი არჩევიშვილმა ცოლად შეირთო კოლმეურნეობის წევრი, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ციცინო მამათელაშვილი, ბრიგადირმა მირიან გიოშვილმა იქორწინა თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტზე, კოლმეურნე დალი ბურდიაშვილზე. მთელი სოფელი მოვიდა მათ ბედნიერებაზე. სოფელი კი არა, მთელი რაიონი იხდიდა ქორწილს.

— იბედნიერეთ, გამრავლდით, ტკბილად შეაბერდით! — ლოცავდნენ მეგობრები, მეზობლები, ახლობლები.

სოფელი ღონიერია, თუ ყველა ოჯახი მაგარია, სოფელი ბედნიერია, თუ ყველა



ფაბრიკის მთავარი პარფიუმერი ლიანა გაბოკიძე

ფოტო კ. ზენზიურისა და ლ. თურქიასი



პარფიუმერია-კოსმეტიკის ლაბორატორიის პარფიუმერი, ფაბრიკის პარტორგანიზაციის მდივანი იზოლდა მალაღურიძე.

# ქართული სუნამო

გასულ წელს თბილისში ეთერზეთების სპეციალისტთა მე-4 საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა. კონგრესის მონაწილე, თბილისის პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერია“ ამ დიდი ღონისძიების მასპინძელიც იყო.

„ივერია“ მხოლოდ რვა წლისაა, მან 1961 წელს გამოუშვა პირველი სუნამო „საიუბილეო“, რომელიც საქართველოს ქალებს მიუძღვნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღესასწაულთან დაკავშირებით. მას შემდეგ საწარმო თვალსაჩინოდ გაიზარდა, გადიდდა მისი ასორტიმენტი. გასულ წელს „ივერიამ“ 23 დასახელების სუნამო, 18 დასახელების ოდეკოლონი, 6 დასახელების ლოსიონი დაამზადა. ფაბრიკის საამქროებმა შარშან 12,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ფაბრიკაში მზადდება თმის საღებავები — ინა და ბასმა, კბილის პასტა. წლევანდელი გეგმით პარფიუმერებმა 70 დასახელების პროდუქცია უნდა გამოუშვან, მათ შორის, რა თქმა უნდა, კრემებიც იქნება, წელს ფაბრიკა 14,6 მილიონი მანეთის ნაწარმს მოგვცემს, ხოლო 1970 წლისათვის მისი რაოდენობა 20 მილიონამდე გაიზრდება. სუნამოები და ოდეკოლონები ლამაზად და გემოვნებით ფორმდება, რომ უფრო მეტად მიიზიდოს მომხმარებელი. ამისათვის სპეციალურად დამზადებულ ქართულ კერამიკის ჭურჭლეულსაც იყენებენ. ფაბრიკის მესვეურების ოცნებაა თავიანთი საწარმოს ეზო გადააქციონ ბაღნარად, ხოლო საამქროები რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოიყენონ. თუ ახლა წარმოებაში 400 მუშაა დასაქმებული, მომავალში მუშათა რაოდენობა ორჯერ გაიზრდება.

როცა აქ კონგრესის მონაწილეები მიიღეს, უცხოელი კოლეგები გააოცა ფაბრიკის სიდიდემ და ასორტიმენტის მრავალსახეობამ. საფრანგეთისა და გერმანიის პარფიუმერიის ფირმები წელიწადში მხოლოდ 2 ან 3 დასახელების პროდუქციას უშვებენ. თუ მაგალითად, იქაურმა ფირმამ ახალი წლიდან რომელიმე სახის სუნამოს ჩამოსხმა დაიწყო, მას მხოლოდ ერთ წელიწადს გამოუშვებენ, მერე მოდა აუცილებლად შეიცვლება და საწარმო შეწყვეტს მის დამზადებას. საერთოდ, კერძო მესაკუთრეს არ სურს ბევრი მუშა ჰყავდეს, ამიტომ უკვირთ მათ ჩვენი საწარმოების სიდიდე, აქ დასაქმებული მუშების რაოდენობა, უკვირთ აქაური მუშა-ახალგაზრდობის ბედნიერი სახეები, მათი განათლება და კულტურა.

კონგრესში მონაწილეობდა საზღვარგარეთის 20 ქვეყნის 250 წარმომადგენელი. აქ იყვნენ სახელმოხვეჭილი ფრანგული სუნამოების ფირმის — „უბიგანის“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმის —„ დრომის“ წარმომადგენლები, იყვნენ სტუმრები იაპონიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

როცა „ივერიის“ სადეგუსტაციო დარბაზში, რომელიც საუცხოოა თავისი სიდიდითა და თანამედროვე გაფორმებით, თავი მოიყარეს ცნობილმა პარფიუმერებმა, საწარმოს ყველა მუშაკი ღელავდა. ამჯერად





კომუნისტური შრომის № 1 ბრიგადის ბრიგადირი ნინო ჭანტურია (მარცხნივ) და წუნმდებელი ცისანა გერმესაშვილი. პარფიუმერიის საამქროში.

საქვეყნოდ აღიარებული სუნამოების გვერდით გადიოდა მათი ნახელავი სუნამოსა და ოდეკოლონის კომპლექტი — „თბილისის ცა“ და „სამახსოვრო [illegible] მოები „ავთანდილი“, „[illegible]“ და „[illegible]ლოდ შენ ერთს“.

დეგუსტაციაზე მაღალი შეფასება მიიღო „თბილისის ცამ“, რომლის ავტორია ფაბრიკა „ივერიის“ მთავარი პარფიუმერი ლიანა გაბოკიძე.

ლიანამ დაამთავრა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი. მერე ის და ახლადდანიშნული მთავარი ტექნოლოგი სტანისლავ გიორგაძე ერთად მიავლინეს 8 თვით მოსკოვში, ფაბრიკა „ნოვაია ზარიაში“. იქ კოლეგებმა ბევრი რამ ისწავლეს, დიდი გამოცდილებით დაბრუნდნენ უკან და მრავალი სიახლე შესძინეს ჩვენს ფაბრიკას.

ლიანა გაბოკიძის სუნამომ ქება დაიმსახურა საერთაშორისო დეგუსტაციაზე. ეს პარფიუმერის დიდი მიღწევაა. სუნამომ რომ კარგი შეფასება მიიღოს, მთავარია სუნის ხანგრძლიობა, მდგრადობა. საერთოდ, ავტორობა მტკიცდება ხუთბალიანი სისტემის მიხედვით, თუ რომელიმე სუნამო 5 ბალს მიიღებს, მაშინ ის წარმოებაში დაინერგება. მანამდე კი მან უნდაა გაიაროს ადგილობრივი საბჭოს დეგუსტაცია და მერე იგზავნება მოსკოვში, სადაც სინჯავს მთავარი სადეგუსტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ცნობილი სპეციალისტები, სავაჭრო ფირმების წარმომადგენლები, კვლევითი ინსტიტუტის მუშაკები.

პარფიუმერი იზოლდა მალაღურიძე აღნიშნავს, რომ რაც მეტია სუნამოს კომპონენტების რაოდენობა, მით უფრო მაღალია მისი ხარისხი. მაგალითად, სუნამო „ავთანდილის“ რეცეპტურაში 10 კომპონენტია, ხოლო „დაისში — კიდევ მეტი.

„პროფესიის საუკეთესო მუშა“ ცისანა გერმესაშვილი ადრე ყველა ოპერაციაზე მუშაობდა. ამჟამად წუნმდებელია. იგი ამოწმებს ამა თუ იმ სახეობის გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. განსაკუთრებული კონტროლი სჭირდება სუნამოს, რომ თავი კარგად ჰქონდეს დაცობილი. თუ ჰაერი შეიპარა, სუნი ნაკლებად ეფექტური იქნება და დადგენილ ვადასაც ვერ გაუძლებს. სუნამო ინახება ერთ წელიწადს, თუ მოვათავსებთ ბნელ და ცივ ადგილას დაწოლილ მდგომარეობაში.

...აქ ყველა საამქროში ქალებია, თეთრხალათებში გამოწყობილი ლამაზი გოგონები. კოსმეტიკისა და პარფიუმერიის საწარმოებში ასეც უნდა იყოს. პარფიუმერიის საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადაში, რომელსაც ნონა ჭანტურია ხელმძღვანელობს, ბევრი მოწინავე ქალიშვილია, რომლებსაც მაღალი შრომითი მაჩვენებლები აქვთ და ქართული სუნამოს სახელისათვის იბრძვიან.

ირმა ჩოფიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის დემოკრატიული საწყისების შემდგომი გაფართოება

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობა მთელი საბჭოთა ხალხის ნებასურვილს გამოხატავს. ეს ჭეშმარიტად დემოკრატიული ორგანოები წამყვან, გადამწყვეტ როლს ასრულებენ მთელ საბჭოთა სახელმწიფო მექანიზმში და, როგორც ასეთები, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.

საბჭოები მოწოდებული არიან წარმართონ თავიანთი საქმიანობა ისე, რომ თანმიმდევრულად განახორციელონ ხალხის ნება-სურვილი, მაქსიმალურად გაითვალისწინონ და გამოიყენონ მშრომელთა აზრი, მილიონობით დეპუტატთა გამოცდილება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაძღოლის საკითხებში, მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების საკვანძო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში.

განსაზღვრა რა საბჭოების ამოცანები კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ დასახა სოციალისტური დემოკრატიზმის ყოველმხრივი განვითარების, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მასების უფრო ფართოდ ჩაბმის გზები. პარტიის მიერ დასახულ ამ ღონისძიებებს განუხრელად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა რგოლი, სასოფლო და სადაბო საბჭოებიდან უმაღლეს საბჭომდე.

პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოების მუდმივ კომისიებს. რომლებიც აერთიანებენ დეპუტატთა უმრავლესობას, რაზმავენ საბჭოების ირგვლივ მშრომელთა ფართო აქტივს.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების მუდმივი კომისიები. ისინი სისტემატურად სწავლობენ და თავიანთ სხდომებზე იხილავენ სახელმწიფო ხელმძღვანელობის სხვადასხვა პრობლემებს, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის საკითხებს, აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმში განსახილველად შეტანილი საკითხების მომზადებაში, იმუშავებენ კანონპროექტებს, ხელს უწყობენ საქართველოს სსრ კანონებისა და უმაღლესი საბჭოს დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას, აკონტროლებენ მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 14 მუდმივი კომისია. მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არჩეული იყო 310 დეპუტატი, რაც დეპუტატთა საერთო რიცხვის 72,5 პროცენტს შეადგენდა. კომისიებში დეპუტატების ფართო მონაწილეობამ მნიშვნელოვნად გაააქტიურა ამ ორგანოების საქმიანობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები აქამდე თავის მუშაობას წარმართავდნენ უმაღლესი საბჭოს მიერ 1959 წელს დამტკიცებული დებულებით, რომლითაც განსაზღვრული იყო ცალკეული კომისიების უფლება-მოვალეობანი, მაგრამ მუდმივი კომისიების მუშაობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ეს დებულება მოითხოვს არსებით გადამუშავებას.

გასული წლის დეკემბერში შემდგარ სესიაზე ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ განიხილა ეს საკითხი და დაამტკიცა მუდმივი კომისიების ახალი დებულება, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა მუდმივი კომისიების უფლებამოსილება, გაზარდა მათი როლი სახელმწიფო ხელმძღვანელობის სფეროში.

ახალი პროექტის შედგენისას უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა პარტიის საპროგრამო დოკუმენტებით — სკკპ პროგრამით და პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ახალი დებულებით, რომელიც მიღებულ იქნა 1967 წლის ოქტომბერში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების არსებული დებულებით და თვით კომისიების მუშაობის გამოცდილებით. მის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს მშრომელებმა, უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების წევრებმა, პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებმა, მუდმივმა კომისიებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა.

მუდმივი კომისიების ახალი დებულება განსაზღვრავს მათ სახელმწიფოებრივ, სამართლებრივ სტატუსს. იგი ახასიათებს მუდმივ კომისიებს, როგორც უმაღლესი საბჭოს დამხმარე ორგანოებს, რომელთა ამოცანაა მეურნეობისა და სოციალისტურ-კულტურული მშენებლობის შესაბამის დარგებში წამოჭრილი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების დაყენება, ამ დარგებში არსებული მდგომარეობის შემოწმება უმაღლესი საბჭოსათვის მოსახსენებლად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონებისა და გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ხელის შეწყობა.

რაში მდგომარეობს ახალი დებულების ძირითადი თავისებურებანი, როგორია ძველსა და ახალ დებულებებს შორის არსებული განსხვავებანი?

ძველი დებულებისაგან განსხვავებით, ახლის მიხედვით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები და რესპუბლიკის პროკურორი. ძველი დებულების მიხედვით მუდმივი კომისიები აყენებდნენ საკითხებს უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის წინაშე, შესაბამისად, აგრეთვე მინისტრთა საბჭოს წინაშე. თანახმად ახალი დებულებისა, მუდმივი კომისიები გადაუგზავნიან თავიანთ რეკომენდაციებსა და წინადადებებს აგრეთვე უშუალოდ სამინისტროებს, უწყებებს, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა თუ ორგანიზაციებს. ეს ორგანოები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან განიხილონ მუდმივი კომისიების წინადადებები და რეკომენდაციები და განხილვის შედეგების შესახებ აცნობონ მას პასუხი არა უგვიანეს ერთი თვისა, ან კომისიის მიერ მითითებულ ვადაში.

საკანონმდებლო წესით განმტკიცდა კომისიების უფლება: მოუსმინონ საქართველოს სსრ მთავრობის, სამინისტროების, უწყებების, სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საერთო-საკავშირო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს. საქართველოს უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება ეძლევათ წინასწარ მოსთხოვონ ამ ორგანიზაციებს საჭირო დოკუმენტები, წერილობითი დასკვნები და სხვა მასალები.

ძველი დებულების თანახმად, მუდმივი კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლებოდა, თუ მას ესწრებოდა კომისიის წევრთა ორი მესამედი, ახლით კი კვალიფიციური უმრავლესობა სხდომის ჩატარებისათვის აუცილებელი არ არის. უმაღლესი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ მათი საქმიანობა მიმდინარეობს ურთიერთ მჭიდრო კავშირში. შემთხვევითი როდია, რომ ახალი დებულება ითვალისწინებს სხვადასხვა კომისიების მიერ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების კონკრეტულ ორგანიზაციულ ფორმებს. მასში მითითებულია, რომ მუდმივ კომისიებს შეუძლიათ ერთობლივად მოამზადონ და განიხილონ საკითხები, რომლებიც ამ კომისიების კომპეტენციას მიეკუთვნებიან.

არსებული დებულებით კომისიის თავმჯდომარე და წევრები კომისიების მუშაო-

ბის დროს თავისუფლდებოდნენ ძირითადი სამუშაოდან ხელფასის შენარჩუნებით. როგორც ეს ახალ დებულებაშია მითითებული, ისინი ასეთივე პირობებში ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, აგრეთვე, კომისიის ცალკეულ დავალებათა შესრულების დროსაც.

დებულებაში ხაზგასმულია, რომ კომისიები ამზადებენ საქართველოს სსრ კანონების პროექტებს, ამუშავებენ წინადადებებს სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების განვითარების საკითხებზე და განსახილველად უდგენენ უმაღლეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმს. კომისიებს აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ახალი დებულებით გათვალისწინებული მუდმივი კომისიების უფლება — წინადადებებით გამოვიდნენ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის წინაშე რომელიმე კანონპროექტის ან სხვა რესპუბლიკური მნიშვნელობის საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გადაცემის შესახებ.

ახალი დებულებით გათვალისწინებულია უმაღლეს საბჭოსთან შემდეგი კომისიების შექმნა:

სამანდატო კომისია, საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია, საგეგმო-საბიუჯეტო კომისია, საგარეო საქმეთა კომისია, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ბუნების დაცვის კომისიები. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბოლო სესიაზე შეიქმნა აგრეთვე ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისია.

დებულებაში მოცემულია, როგორც მუდმივი კომისიების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის საერთო პრინციპები და ზოგადი დებულებანი, აგრეთვე დეტალურად რეგლამენტირებულია ცალკეული დარგობრივი მუდმივი კომისიების კომპეტენცია.

კონსტიტუციიდან გამომდინარე დებულება განსაზღვრავს, რომ მუდმივი კომისიები დაქვემდებარებულნი და ანგარიშვალდებულნი არიან უმაღლესი საბჭოს წინაშე. სესიათა შორის პერიოდში მათი საქმიანობის კოორდინირებას ახდენს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. თავიანთ საქმიანობაში ისინი ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ კონსტიტუციით, კანონებით, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებით და ბრძანებულებებით, აგრეთვე ახლადდამტკიცებული დებულებით. მუდმივ კომისიებს თანაბარი უფლებები ენიჭებათ და თანაბარი მოვალეობანი აკისრიათ, შეუძლიათ გამოვიდნენ მოხსენებებითა და თანამოხსენებებით უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მათ კომპეტენციაში შედის. მათ უფლება აქვთ გამოიყვანონ თავიანთი მომხსენებლები და თანამომხსენებლები.

მუდმივ კომისიას უფლება ენიჭება თავის მუშაობაში ჩააბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ის დეპუტატები, რომლებიც კომისიის შემადგენლობაში არ შედიან, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მეცნიერები. მას შეუძლია შექმნას ამა თუ იმ საკითხების შესასწავლად სპეციალური ქვეკომისიები და ჯგუფები.

დებულების პროექტში გამოხატულებას პოულობენ პარტიის XXIII ყრილობის მითითებანი სამინისტროების და უწყებების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ კომისიების რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების შესრულების საქმეში.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ახალი დებულების მიღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუდმივი კომისიების როლის შემდგომ ამაღლებას, მათი საქმიანობის სრულყოფას, დეპუტატების აქტივობის ზრდას და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

# „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე




ახლახან „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ინგლისურ ენაზე თარგმნილი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ამით მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს შეემატა ინგლისურ ენაზე ამ დიდი ძეგლის პირველი პოეტური თარგმანი. თარგმანი ეკუთვნის ვენერა ურუშაძეს. წიგნი ლამაზად არის გაფორმებული. მხატვრის მკაცრი ფერები და თავშეკავებული ტონალობა, შესანიშნავი შრიფტი — ამ წიგნის სასიამოვნო სამკაულია. თარგმანს წინ უძღვის თვით მთარგმნელისა და ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის, ცნობილი ქართველოლოგის — დ. ლანგის წინასიტყვაობა. „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადი დახასიათების შემდეგ, მეცნიერი ჩერდება თარგმანის დიდ ღირსებაზე: „მე ინტენსიურად მივდიე კვალდაკვალ ამ ღირსშესანიშნავი შრომის ჩანაფიქრსა და შესრულებას. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ვენერა ურუშაძის თარგმანს ექნება უდიდესი წარმატება, რასაც ის ჭეშმარიტად იმსახურებს.“

ეს ბრწყინვალე გამარჯვება იოლი გზით არ მოსულა ვენერა ურუშაძესთან. კარგად გვახსოვს ის დიდი გამოხმაურება უცხოელ მკითხველთა მხრივ, როდესაც, ამ ოცი წლის წინ, მან ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა ქართული პოეზიის ანთოლოგია. ქართულმა თანამედროვე პოეზიამ და კლასიკურმა ძეგლებმა მოხიბლა უცხოელი მკითხველი. ეს იყო მათთვის აღმოჩენა, უცნობი სამყაროს უეცარი გამონათება. ვენერა ურუშაძის პირად არქივში ინახება უცხოელთა უამრავი წერილი — სიყვარულის, მოკრძალებისა და პატივისცემის გამომხატველი. შესაძლებლობა არა გვაქვს მკითხველს ყველა ამ წერილის შინაარსი გავაცნოთ. შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმე მათგანზე.

„...თქვენ კარგად ფლობთ ინგლისური ლექსის რიტმს. თქვენი მეტრი მოქნილია და ბრწყინვალე, ფრაზები და სახეები ცოცხლადაა გამოკვეთილი“, — წერს ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯეკ ლინდსეი.

აი რას წერს „ამირან-დარეჯანიანის“ მთარგმნელი, ინგლისელი ქართველოლოგი რ. სტივენსონი: “...თქვენ, მართლა გეკუთვნით მოლოცვა, რომ შესძელით ინგლისელ მკითხველამდე ამის მიტანა. მე კიდევ ერთხელ უნდა გამოვხატო ჩემი თაყვანისცემა ჭეშმარიტი „Tour De Forcec“-ს გამო, რომლის მსგავსს აქამდე არ შევხვედრივარ. ვიმედოვნებ, თქვენ კვლავ ეცდებით უფრო ფართოდ გაგვაცნოთ ქართული ლიტერატურა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...ქართული პოეზიის ანთოლოგია დიდებული წიგნია. ძალზე აღფრთოვანებული ვარ. მიიღეთ ჩემი ულრმესი მადლობა იმ სიამოვნებისათვის, რაც თქვენმა თარგმანმა მომანიჭა. რა ღრმა პატრიოტიზმით, რა მგზნებარე ემოციებით ხასიათდება ქართული პოეზია. ვერ აგიწერთ, როგორ მიხარია, რომ მაქვს ეს წიგნი“, — წერს უელსის უდიდესი პოეტი თ. ი. ნიკოლასი.

„... შევიცანი უდიდესი პოეტური მგრძნობელობა, რომლითაც შთაგონებულია თარგმანი; აღფრთოვანებული ვარ თქვენს მიერ ინგლისური იდიომებისა და სალექსო ფორმების შესანიშნავი დაუფლებით“, — პროფესორი დ. ლანგი.

„... ეს არის პოეზია, ეს არის ინგლისური პოეზია; რომელიც გვინერგავს არა მარტო რაციონალურს, არამედ (პირველ ყოვლისა), ემოციონალურ აღქმელობას.

ვენერა ურუშაძის ანთოლოგია დამუშავებულია სპეციფიკური ინგლისური სალექსო ტრადიციებისა და წესების ფაქიზი, ნამდვილი ცოდნით, აგრეთვე გულისხმიერი ოსტატობით. მათში გამოყენებულია ბრიტანეთის დასამღერი ლექსის მელოდიური მემკვიდრეობა, ინგლისური ლექსთწყობის ტექნოლოგიასთან ერთად. ინგლისური ეპიკური და ბალადური პოეზიის თავისებური ხერხები თავისი დანაწევრებული ხმიანობითა და დრამატიზმით, რომელსაც დასამღერი იამბიკური საწყისებისა და ინტონაციისაკენ მრავალფეროვანი მიდრეკილება აქვს — ყველაფერი ეს ვენერა ურუშაძის მიერ შეცნობილია, როგორც მოცემული საალმშენებლო მასალა, რომლის ოსტატურად გამოყენებაა საჭირო, რათა პოეტური ადეკვატობით ხორცი შეასხა უცხო მასალას, ქართულ პოეზიას, ქართულ პოეტურ ენას, მის ლირიზმსა და თხრობით ლექსს, რომელიც საფუძველში ქორეულია. ურუშაძემ ეს ძნელი დავალება შეასრულა საქმის განსაცვიფრებელი ცოდნითა და, უპირველესად ყოვლისა, ნამდვილი პოეტური ნიჭიერებით... ლექსების თარგმნა ინგლისურ ენაზე უფრო ძნელია, რადგან ინგლისური ლექსის ტრადიციაში, სტრუქტურაში არ არის ის საერთო, მისასადაგებელი რიტმიკისა და ტონალობის ანალოგიური მონაცემები, რომლებიც არის გერმანული ლექსის ტრადიციებსა და სტრუქტურაში. ყველა ეს თავისებურება პოეტ ვენერა ურუშაძის მიერ გააზრებული და გაგებულია და პრაქტიკული დასკვნები, რომელსაც იგი აკეთებს თარგმნის პროცესში — ქართული ლექსის გადატანა ინგლისურ ყაიდაზე — სწორია და მთლიანად გამართლებული ძლიერი და მდიდარი შედეგებით“ — „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი ჰუგო ჰუპერტი.

წერილთა შორის იხილავთ აგრეთვე ნიუიორკის კორნელის უნივერსიტეტის პრეზიდენტის დიინ მელოთის, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ს. რენის, პიზას (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორის ჯუზეპე მორუცის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ს. კანის, ინგლისელი პროფესორის გრეი უოლტერის და სხვათა წერილებს, სადაც აგრეთვე ნათქვამია, რომ წიგნი ინგლისელ მკითხველებს აძლევს ერთგვარ კონსპექტს ქართული პოეზიის რაობაზე, რომ ამ ლექსებმა აღუძრა მათ წყურვილი შეისწავლონ ქართული ენა, რომ ქართული პოეზია ხასიათდება მგზნებარე ემოციებით. გასაოცარი ლირიზმით, რომ ამ ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის ფართოდ გაცნობისათვის და სხვა. აქვე ნახავთ ჩვენი თანამედროვე გამოჩენილი რუსი მწერლებისა და მთარგმნელების: კ. ჩუკოვსკის, ბ. პასტერნაკის, ს. მარშაკის, ნ. ტიხონოვისა და სხვათა წერილებს, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენ ვენერა ურუშაძის მთარგმნელობით მოღვაწეობას.

X X X

1911 წელს ოჯახთან ერთად ამერიკაში გადახვეწილ გოგონას თავიდანვე ეტყობოდა შემოქმედებისაკენ ლტოლვა. საბჭოთა საქართველოში მობრუნებულს, ყველა პირობა შეექმნა, რომ სანუკვარ მიზანს სწეოდა. ფილოლოგიურ განათლებასთან ერთად იგი იძენს მუსიკალურ განათლებას, ეუფლება ვოკალს.

ხელოვნების ყველა იმ დარგს, რომელსაც ვენერა ურუშაძე ახალგაზრდობის ასაკში ეუფლებოდა, მიჰყავდა ის ერთი მიზნისაკენ, ამზადებდა საფუძველს დიდი და საპასუხისმგებლო საქმისათვის — სარგებლობა მოეტანა მშობლიური ქვეყნისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში მე არაერთხელ ვყოფილვარ ვენერა ურუშაძესთან, როცა იგი თავისივე თარგმნილი პოემის სტროფებს ხმამაღლა კითხულობდა და ასე მეგონა, ქართულ ენაზე აჟღერებულ დიდ ქმნილებას ვუსმენდი. შაირის ნაზი, მუსიკალურ-მელოდიური ხმოვანება ნარნარად მოდიოდა ჩემს სმენამდის და თარგმნის მელოდიკის აღქმას მიადვილებდა. მთარგმნელის ბუნებრივმა პოეტურმა ინტუიციამ ამ ქმნილებას შეუნარჩუნა სწორედ ის, რაც ასე აუცილებელია პოეტური თარგმნისათვის: მუსიკალობა, პოეტური სული.

ჯერ კიდევ ადრე, „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ ინგლისურ ენაზე გამოსვლის შემდეგ, ჰუგო ჰუპერტი წერდა:

„სასურველი იქნებოდა, რომ პოეტი ვენერა ურუშაძე ინტენსიურად და ხშირად შეასრულებდეს დიდი მასშტაბის შემოქმედებით დავალებებს. მხოლოდ მას შეუძლია ჩემის აზრით, ბოლოს და ბოლოს განახორციელოს სრულფასოვანი მხატვრული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ ინგლისურ ენაზე; ეს უკვე დიდი ხნის მომწიფებული კულტურულ-ისტორიული დავალებაა. ისეთი ძალა, როგორიცაა ვენერა ურუშაძე, საჭიროა უკეთ იქნეს გამოყენებული მაღალხარისხოვანი პოეტური მემკვიდრეობისა და ახალი საბჭოთა პოეზიის თარგმნის საქმეში.

ჩვენ მოვიტანეთ რამდენიმე ადგილი უცხოელ მწერალთა და მოღვაწეთა წერილებიდან ვენერა ურუშაძის მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ. მთარგმნელი, ალბათ, დიდი გულისძგერით მოელის ქართველი საზოგადოებრიობის და უცხოელი მკითხველის გამოხმაურებას „ვეფხისტყაოსნის“ ამ თარგმანზე. კეთილი განზრახვით გამოწვეული ყოველი აზრი. ნაყოფიერი მუშაობის ძალა და იმპულსია მისთვის.

საქართველოს სულიერი სიმდიდრის გატანა მსოფლიოში, ერის უკვდავების საწინდარია. ასეთ ღვაწლსა და ამაგს ყოველთვის აფასებდა და აფასებს ქართველი ხალხი.

**გაგო მჭედლიძე,**
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

## პატარებისათვის

ნუნუ ლაღიძე

### რა დროს ყივი, მამალო?

რა დროს ყივი, მამალო,
ჭკუა არა გქონია,
ელნათურის სინათლე
დილა ხომ არ გგონია!

### ცუგო

ცუგომ ძვლებზე უარი თქვა,
ალბათ სტკივა კბილი,
ნამცხვარსაც არ გაეკარა:
ტკბილიაო, ტკბილი!

. . .

არ ისურვა მაკარონი
და არც კარტოფილი,
თბილი ფაფა მივართვი და
დარჩა კმაყოფილი.

გული ზუხბა

### ზღვამ წაართვა ბურთი

ტირის, ტირის გია ბიჭი,
არ უშრება ცრემლი თვალში;
დედას რომ არ დაუჯერა
და ჩააგდო ბურთი ზღვაში.

. . .

შორს წაიღო ტალღამ ბურთი,
და ზღვა ახლა ასე უთვლის:
ამ ბურთს იმ ბავშვს გავუგორებ,
ვინც უფროსებს გაუგონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო დ. იაკობაშვილისა



# პროფესორი

როცა გასაცნობად მივდიოდი, მისი ამბავი ზოგიერთ ნაცნობისაზე უკეთ ვიცოდი.

თამარ ღლონტის სახელი სულ პირველად ბათუმში გავიგე, ეამაყებოდათ იქაურებს — ჩვენებურიაო. იქ შევიტყვე მისი ამბავი, რისაგანაც დროთა შემდგომ ის დამახსომდა, რომ იგი ცნობილი პედაგოგის ირაკლი ღლონტის ქალიშვილია. ბათუმში მიეღო საგიმნაზიო განათლება და უნივერსიტეტში იმ დროს შესულიყო, როცა იქ მედიცინასაც ასწავლიდნენ. მიუხედავად სამოცზე მეტი წლისა და პირადი უბედურებისა, ისეთივე სათნო და მოუღლელი დარჩენილიყო, როგორიც ახალგაზრდობაში გახლდათ. ოღონდ ეგ არის, რომ სახემხიარულს ველარ ნახავდით. შუბლშეკრული და სევდიანი, იგი მხოლოდ თავის საყვარელ საქმესღა შეჰფარებოდა, მის ჭერქვეშ დაევანა და ქვეყნიერებას აქედან გასცქეროდა. რაკი შინაცხოვრებას ემტყუვნა, მასაც უარეყო და პირი ებრუნებია. სამაგიეროდ საქვეყნო თვალი უფრო ფართოდ გაეხილა.

ნევროპათოლოგიის კათედრა რომ აჭარის შეფია და დროდადრო მისი წევრები საკონსულტაციოდ ბათუმს სტუმრობენ, თამარ ღლონტის თაოსნობაა. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ნევროპათოლოგები რომ სასწრაფო დახმარების ექიმებთან ერთად მორიგეობენ, ავადმყოფებთან მიჰყვებიან და დიაგნოზის სწორ დადგენაში ეხმარებიან, ესეც პროფესორის რჩევაა...

ბათუმელების ეს ნაამბობი თბილისელმა პაციენტებმა და ექიმებმა, რასაკვირველია, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებაში თავიანთ ნახულ-გაგონილით შემივსეს. ასე რომ, ვიდრე ვინახულებდი, ის ნათელი ადამიანი უკვე ჩემს ძველ ნაცნობად მიმაჩნდა.

შევხვდით რკინიგზის საავადმყოფოს პატარა ოთახში, ძალზე ჩვეულებრივ ვითარებაში. ავადმყოფის ისტორიაში ჩაცქერილმა, ხანდაზმულმა ქალმა მოღრუბლულად გამომხედა.

შეუვალი და ნაღვლიანი მზერა ჰქონდა, პირისპირ მოჩერებული, გამჭოლავი. ლაპარაკობდა ხმადაბლა და ცოტას, ემომჭირნებოდა სიტყვასაც, ხმის ძალასაც.

— მე, — მითხრა პროფესორმა, — ყველაზე ძნელ საქმედ საკუთარ თავზე ლაპარაკი მიმაჩნია, თავმდაბლობის გამო კი არა... უბრალოდ, ძნელია, შენი მუშაობა პირწმიდად გამოყო, რადგან ის, რაც შენ გააკეთე, სინამდვილეში მეტნაკლებად სხვათა დახმარებითაა გაკეთებული. არ მეთანხმებით? მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ამ ქვეყნად მარტო ბრძანდებით, რაც და როგორც გისაქმიათ, ისაქმებდით? აღიარეთ, რომ ვერა. ჩვენთან, კლინიკაში, ადამიანების ურთიერთდახმარების წილი კიდევ უფრო დიდია. ავადმყოფებთან ხშირად რამდენიმე ვმუშაობთ და ერთსადაიმავე საკითხებზე დაახლოებით ერთნაირი შეხედულება გვიმუშავდება.

მე იმედგაცრუებით შევხედე. პროფესორმა იგრძნო, ისე რომ არ მიყვებოდა, როგორც საჟურნალოდ იყო გამოსადეგი. და, რადგან შეუწუხებლივ სხვაგვარადაც არ შეეძლო, ამიტომ დამხმარედ ცოტნესა და ნანულის მოუხმო.

ცოტნე ჩხიკვიშვილი კათედრის დოცენტია, ნანული შუბლაძე — ასისტენტი.

როცა ისინი შემოვიდნენ, პროფესორმა თამარმა მობოდიშებით დაგვტოვა. მე დიდხანს ვიჯექი მათთან ქათქათა ოთახში, სულს ვიამებდი მიწურული შემოდგომისაგან შემო-

თავაზებული იშვიათი მზიანი დარის ჭვრეტით და ვისმენდი მათს მონათხრობს ადამიანზე, რომელიც, ხანდაზმულობის მიუხედავად, მაინც შელმა მიდის და დაჟინებით ივლის, სანამდისაც სიცოცხლის დღეები გასწვდება.

## ცოტნეს ნაამბობი

მე კარგად ვიცი მისი ბიოგრაფია იმიტომაც, რომ არაერთხელ მქონია იგი ხელთ წინასაარჩევნო დღეებში. თამარი ხომ საბჭოთა კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც გახლდათ. მაგრამ სანამ ამ საზოგადო პატივს მიიღებდა, მან გრძელი გზა განვლო პატიოსანი, დაუყვედრებელი შრომისა.

პროფესორი სიმონ ყიფშიძე იყო თამარ ღლონტის პირველი ხელმძღვანელი სამედიცინო ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კლინიკაში. შემდეგ იგი რკინიგზის საავადმყოფოში პროფესორ პეტრე სარაჯიშვილთან მუშაობს, მომდევნო ოთხ წელს კი მოსკოვში ატარებს აკადემიკოს მიხეილ კროლის მოწაფედ და იცავს საკანდიდატო დისერტაციას თავის ტვინის მენინგეომების კლინიკისა და პათომორფოლოგიის საკითხებზე. სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შემდეგ თამარ ღლონტი თბილისში გადმოდის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, პროფესორ ავლიპ ზურაბაშვილთან. როცა სამამულო ომი დაიწყო, თამარი პირველი დღეებიდანვე ევაკოჰოსპიტლებში მუშაობს, ვიდრე ომის დამთავრებამდე, უფრო გვიან — განყოფილების გამგედ, თუ ჰოსპიტლის უფროსის მოადგილედ; იქიდან დღემდე კი ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კლინიკაშია სახელგანთქმულ მეცნიერთან, აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილთან და მისი ხელმძღვანელობით მუშაობს წლების განმავლობაში ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად. შვიდი წელია კათედრის გამგეა და კათედრა ბევრ კაიკაცურ საქმეებს უძღვება.



ეს ხანდაზმული ქალი ნერვულ სნეულებათა ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარიც გახლავთ — 60-მდე მეცნიერული შრომის ავტორია, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია გამოკვლევები ეპილეფსიისა და სისხლის მიმოქცევის მოშლის შესახებ. პროფესორ მინა შაც-შველიძესთან ერთად მუშაობდა სამხარეო პათოლოგიის საკითხებზეც, კერძოდ, აკვირდებოდა ნერვულ მოვლენებს ბრუცელოზით დაავადებულებში; ხოლო პროფესორ გიორგი მარუაშვილთან ერთად სწავლობდა ამავე საკითხს ანკილოსტომოდოზის დროს. მალე გამოვა შრომა თავის ტვინის იშემიურ დაავადებებზე და კიდევ კათედრის კოლექტიური შრომა — „ნევროლოგიური განმარტებითი ლექსიკონი“, პირველი ასეთი ლექსიკონი ქართულად. არ შეიძლება არ დავასახელოთ პროფესორ თამარ ღლონტის გამოკვლევა რეფლექსების თაობაზე, სადაც გამოვლენილი და აღწერილია სამი ახალი რეფლექსი — ზოგიერთ ნერვულ დაავადებათა წინასწარი მაცნე. პროფესორი თამარ ღლონტი მიეკუთვნება იმ იშვიათთა რიცხვს, რომელნიც მათს ირგვლივ მყოფებზე გავლენას ახდენენ სამივე ადამიანური ძალით: გონებით, გრძნობით, ნებისყოფით...

## ნანულის ნაამბობი

აი, ერთი თვალსაჩინოება — ნალჩიკიდან ახლახან მიღებული დეპეშა — კრემლიანა ტლასტანოვა დღესასწაულს ულოცავს პროფესორ თამარს. ვინ არის კრემლიანა? ამ ორიოდე წლის წინ დახელოვნების კურსებზე მოვლინებული ნევროპათოლოგი, რომელიც ისე მოიხიბლა, რომ გადაწყვიტა დისერტაციაზე ჩვენი პროფესორის ხელმძღვანელობით ემუშავნა. დამეთანხმებით, ასეთი მანძილის „შეგუება“ ადვილი არ არის. ნალჩიკიდან მოსულ გრძელ შეკითხვებზე თუ ვარაუდებზე აქედან ბევრად გრძელი პასუხები იგზავნება, რასაკვირველია, დაუმადლებლად.

აი, სხვა თვალსაჩინოებანიც — სადღესასწაულო მოლოცვები გომელიდან, სარატოვიდან, კრასნოიარსკიდან, სავკოვას, გერასიმოვს, გალიაპაცს წლების მანძილზე მიმოწერა აქვთ თავიანთ ნამასწავლებლართან, როგორც ერთ-ერთი მათგანი იწერება, „მხოლოდდამხოლოდ გულის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“.

გულის ხსენებაზე მომაგონდა. მაშინ ინსტიტუტში ახალი მოსული ვიყავი და, ალბათ, ამიტომაც ის შემთხვევა უჩვეულოდ წარმომიდგა: დღის ბოლო იყო, სახლებში წასვლას ვაპირებდით, რომ ერთი უგონოდ მოქცეული ავადმყოფი მოიყვანეს, პირდაპირ ქუჩიდან. არც ახლდა ვინმე, არც პირადობის რაიმე საბუთი გააჩნდა. ანამნეზზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ავადმყოფისათვის წუთებს ჰქონდა მნიშვნელობა. პროფესორმა შინ არავინ გაგვიშვა; სასწრაფოდ გაკეთდა ყველა ანალიზი, დაისვა დიაგნოზი, მოიწვიეს კონსილიუმი. და იმავ საღამოს თავის ტვინის ოპერაცია გაკეთდა. ავადმყოფი გადარჩა. მაგრამ რომც დაღუპულიყო, ამით თამარის სიკეთეს განა რამე მოაკლდებოდა! მთავარი გულია, გულის სურვილია, თორემ კაცი ღმერთი ხომ არ არის, მარცხი არ მოუვიდეს?

არავითარი კერძო პრაქტიკა, მხოლოდ უანგარო აღსრულება მოვალეობისა, მხოლოდ პატიოსანი სამსახური მეცნიერებისა, მხოლოდ მაღლამხედობა თავმდაბლობასთან შეზავებული.

ადამიანისათვის, ვინც ერთსადაიმავე დროს ისეთი „მძიმე ტიტულებს“ ატარებს, როგორიცაა: „ნერვულ დაავადებათა შემსწავლელი საკავშირო საპრობლემო კომისიის წევრი“, „საერთაშორისო და საკავშირო სიმპოზიუმების მონაწილე“, „პროფესორი“, „კათედრის გამგე“ — ადვილი როდია ბუნებრივი უბრალოება შეინარჩუნოს. მახსოვს, როცა მისი ასპირანტი ვიყავი, როგორი მოწადინებით მამეცადინებდა. ერთხელაც არ დაუხედავს საათზე და ფეხზე მხოლოდ მაშინ წამომდგარა, როცა ყველა საკითხი ამოწურული ყოფილა. არ ვიცი, რა ვუწოდო ამას — პროფესიის ერთგულება, ადამიანების სიყვარული თუ უბრალოდ — უნაკლო მუშაობის კეთილი ჩვეულება.

ბევრჯერ მიფიქრია: ყველაზე ძნელი და ხაპატიო, ალბათ, ისეთ კაცად ცხოვრებაა-მეთქი, რომელიც მთლიანად სხვათაკენაა მიმართული, მთლიანად სხვათა სასიკეთოდ გადადებული, სათავისოდ აღარას ზრუნავს. თავად მწუხარე, ცდილობს ადამიანებს სიხარული მოუპოვოს, ძნელი შრომით შეძენილი გამოცდილება უსასყიდლოდ გასცეს, თავისთვის მარტოდმყოფობის დროს იტიროს, საზოგადოებაში კი ყოველგვარ სისუსტეს სძლიოს ადამიანებისათვის და ადამიანების დახმარებით. ეს გმირობაა, წუთისოფელთან ჭიდილში ჩადენილი. აი, როგორად წარმომიდგება პროფესორი თამარი.

როცა საავადმყოფოს აგურის შენობა უკან ჩამოვიტოვეთ, ნანულიმ სინანულით თქვა: ძალიან შევეჩვიეთ აქაურობას, გაგვიძნელდება ამ მყუდრო ქუჩის დატოვებაო. და, როცა შემატყო, ვერაფერს მივუხვდი, ამიხსნა: მალე დახელოვნების ინსტიტუტს საკუთარი კლინიკა ექნება და აღარ მოგვიხდება კარდაკარ სიარულიო.

ჩვენ მივდიოდით გვიანი შემოდგომის მზეში და ხეების შიშველი გამოსახულებანი მიგვაცილებდნენ. მათ შორის თავისუფალ სივრცეში ჩემი წარმოდგენა დროდადრო არც ისე შორეული მომავლის სურათს ხატავდა: ახალი კლინიკის მაღალ კიბეებს, მაღალ თაღებს და მაღალ სვეტებს. თეთრხალათიანებში ერთი თეთრთმიანი მანდილოსანი გამოერჩეოდა, სპეტაკ შუბლსა და ლამაზ თვალებზე შეფენილი მისეული განუმეორებელი სინაზით, რომელსაც სიხარული დაუზოგავად შემოდა, დიდი საქვეყნო სიხარული.

ეთერ სახვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისაუბროთ ბავშვის აღზრდის საკითხებზე

გაგრძელება

ციალა შარია, პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

სად და როგორ ატარებს მოზარდი თავისუფალ დროს, ერთერთი ძირითადი საკითხია მომავალი თაობის სწორად აღზრდის საქმეში.

საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხეში, სოფლად თუ ქალაქად, მშენებლობებსა და საწარმოებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზებულია ოჯახისა და სკოლის დამხმარე ხაბჭოები.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვებთან მუშაობა ატარებს სხვადასხვა ფორმას. მთელ რიგ ქარხნებში შექმნილია დამრიგებელთა ჯგუფები. ესენი არიან ჩვეულებრივი მუშები, რომელთაც უყვართ ბავშვები, ეხერხებათ მათთან ურთიერთობის დამყარება, ზრუნავენ მათ აღზრდაზე, ცდილობენ ააცდინონ ისინი არასწორი გზიდან.



სახლმმართველობებთან ჩამოყალიბებულია ბავშვთა კომისიები, რომლებშიც გაერთიანებული არიან საზოგადოებრივი მუშაკები. ისინი მთელ დროს ბავშვებთან მუშაობას ახმარენ.

1967 წლიდან ჩვენს ქალაქში მუშაობა დაიწყეს პედაგოგ-ორგანიზატორებმა. ორჯონიკიძის რაიონში ამ საქმეს ხელმძღვანელობს პედაგოგ-ინსტრუქტორი ამხ. ნ. ნადარეიშვილი. ამ კოლექტივის კარგი მუშაობის შესახებ მოსკოვის რადიომ საინტერესო გადაცემა მოაწყო. გადაცემაში

## შეკრება რედაქციაში

# ლაპარაკობენ

მარიამ ბურჭულაძე,
საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი.



ყველას გამოსვლა საბოლოოდ ერთ კუთხეს უბრუნდება — სკოლას და ოჯახს.

ბავშვი რომ კარგად აღზარდო, საჭიროა ღრმად შეისწავლო მისი ბუნება. რაც ერთთან კარგია, მეორესთან არ გამოდგება. ბავშვის რთული ბუნება სტანდარტულ მიდგომას ვერ აიტანს. საჭიროა თითოეულთან ინდივიდუალური მუშაობა.

ჩემის აზრით, პედაგოგიურ საქმიანობას დიდად უშლის ხელს გიგანტური სკოლები. რა ქნას დირექტორმა, რომელსაც სკოლაში 1.800 მოსწავლე ჰყავს? დირექტორის თითოეულ ბავშვამდე მიღწევა აქ გამორიცხულია. ასეთი სკოლების დაშლის საკითხი, ვფიქრობ, საკმაოდ მომწიფდა. ასევე აუცილებელია სკოლების ერთ ცვლაში გადასვლა. ორ და სამ ცვლაში მუშაობა უდაოდ დაღს ასვამს აღმზრდელობით პროცესს.

სამწუხაროდ, მარტო ტექნიკური მიზეზები როდი უშლის ხელს სკოლის საერთო პედაგოგიურ დონეს. აღმზრდელობითი საქმიანობის ცენტრალურ ფიგურას პედაგოგი წარმოადგენს, რომელიც უახლოეს კონტაქტშია მოსწავლეებთან და ამიტომაც მოსწავლეზე პასუხისმგებლობაც ძირითადად მას ეკისრება.

აქ უკვე აღინიშნეს ისეთი პედაგოგების შესახებ, რომლებიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ, მაგრამ მე მაინც მინდა კვლავ დავუბრუნდე ამ საკითხს, გულის ტკივილი გამოვთქვა იმის გამო, რომ ჩვენი ზოგიერთი მასწავლებელი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. დაბალი აქვს, როგორც განათლება, ასევე კულტურა, არ უვარგა პედაგოგიური ტაქტი. ვუერთდები გამოსული ამხანაგების აზრს და მოვითხოვ, გადაისინჯოს პედაგოგიური კადრები, გადაისინჯოს სერიოზულად, რათა მომავალი თაობა სრულფასოვნად და უნაკლოდ აღიზარდოს.

ამბობენ, ბავშვის აღზრდის ბუდე ოჯახიაო, რაც სავსებით სწორია. რას იზამს სკოლა, პედაგოგი, თუ ბავშვი სახლში მშობელთა მაქსიმალური ყურადღების ქვეშ არ არის, თუ იგი ოჯახში არ ხედავს კარგ და მისაბაძ მაგალითს?! ცნობილია, რომ პირადი მაგალითი აღზრდის ყველაზე დიდი საშუალებაა.

ზოგჯერ ცოლ-ქმარს უსიამოვნება აქვს, ჰგონიათ, რომ ბავშვი ამას ვერ ამჩნევს. სინამდვილეში ბავშვის მახვილ თვალს არაფერი გამოეპარება. გაყრილ მშობლებს რომ სრულად ესმოდეთ, რამხელა უსიამოვნება და უბედურება მოაქვთ შვილებისათვის თავიანთი ცხოვრების მოუწესრიგებლობით, იქნებ ნაკლები ყოფილიყო ისეთი უდედო ან უმამო ბავშვების რიცხვი, რომელთაც დედ-მამა ცოცხალი ჰყავთ, მაგრამ მაინც ობლები არიან. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ გზასაცდენილი ბავშვების დიდი რიცხვი გაყრილი მშობლების შვილები არიან.

ახლა ძალიან გამრავლდა მშობელთა უნივერსიტეტები. ცუდი არ იქნებოდა, ისინი უფრო მეტ და მეტ მშობლებს აბამდნენ თავიანთ მუშაობაში, უფრო მეტად აკრიტიკებდნენ ულირს მშობლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობდა პედაგოგ-ორგანიზატორი კლდიაშვილი, რომელმაც მოუთხრო მსმენელებს თავისი მუშაობის შესახებ.

გაფართოვდა თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვან ბავშვებთან მუშაობის კომისიების უფლებები. მეტად დიდ და საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწევიან აგრეთვე მილიციის ბავშვთა ოთახები.

სხვადასხვა აღმზრდელობითი კოლექტივების მუშაობა სასარგებლო ეფექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემს, თუ სწორად იქნება მათი საქმიანობა კოორდინებული, თუ თითოეული კოლექტივი კეთილსინდისიერად და ბეჯითად იმუშავებს თავის უბანზე, საქმიან, მჭიდრო კავშირს დაამყარებს ბავშვთა ყველა აღმზრდელობით ორგანიზაციასთან.

ასეთი მჭიდრო, შემოქმედებითი კონტაქტის კარგ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მე-18 მიკრორაიონის საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი კლუბი. ამ კლუბის მუშაობა კარგად წარმართა ორჯონიკიძის რაიონის პედაგოგ-ორგანიზატორმა შ. კლიმიაშვილმა. კლუბში თავი მოუყარეს ძნელად აღსაზრდელ, უზედამხედველო ბავშვებს, რომლებმაც არ იცოდნენ სად და როგორ მოეკლათ დრო.

კლუბის მუშაობით დაინტერესდა საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი თ. ფოცხვერია. მან საინტერესო ლექცია წაუკითხა კლუბის წევრებს. ლექციის თემა იყო „ბავშვთა დანაშაულობის მიზეზი და მათი შედეგები“. ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია, წამოჭრა მრავალი საკითხი და შეკითხვა. ლექციის შემდეგ ბავშვებს შორის დიდხანს არ შეწყვეტილა მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კლუბის თვითმოქმედმა კოლექტივმა, თ. ფოცხვერიას დახმარებით, ერთ-ერთ ბავშვთა კოლონიაში ჩაატარა კონცერტი. ნორჩმა მსახიობებმა კოლონიის დირექციისაგან სიგელიც კი მიიღეს ჯილდოდ.

ეს ღონისძიება უდაოდ გონივრულად იყო მოფიქრებული, იგი სასარგებლო აღმოჩნდა თვითმოქმედი კოლექტივის წევრებისათვისაც, — ისინი ხომ ძნელად აღსაზრდელი ბავშვები არიან. მათ საკუთარი თვალით იხილეს (კოლონიაში მყოფ დამნაშავეთა სახით), თუ რა სავალალო შედეგი მოსდევს სწორი გზიდან აცდენას.

მე-18 მიკრორაიონის აღმზრდელობითი მუშაობიდან კიდევ მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამ კლუბის ხელმძღვანელობის საქმიანობა ნათლად გვიჩვენებს, რომ მთავარია აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვა, მთავარია გიყვარდეს ბავშვები, თუნდაც ისინი დროებით გზასაცდენილნი იყვნენ, გიყვარდეს ნამდვილი მოქალაქისა და პედაგოგის სიყვარულით და შედეგიც არ დაიგვიანებს.



ლილი მელაძე.
მე-60 საშუალო სკოლის დირექტორი.

მოვისმინე ამხანაგების საუბარი ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა პრობლემებზე და, სიმართლე გითხრათ, ცუდ ხასიათზე დავდექი. რატომ ხდება ასე, რომ ჩვენს სინამდვილეში, სოციალიზმის ეპოქაში მაინც გვხვდება თითო-ოროლა გადაგვარებული ახალგაზრდა? სადაა ამ ბოროტების ძირი და სათავე? ვინ აგებს ამაზე პასუხს?! — რა თქმა უნდა, მთელი საზოგადოებრიობა, ის პირები, რომლებთანაც უშუალო კონტაქტში იყვნენ, ან არიან ეს ბავშვები. უდაოდ სადღაც, რომელიღაც რგოლმა მოისუსტა, თორემ ბავშვები ბოროტმოქმედებად ხომ არ იბადებიან.

მე, როგორც პედაგოგმა, მინდა სკოლით დავიწყო. ასეა თუ ისე, სკოლაში ეყრება ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას საფუძველი. სკოლა ეს ის დაწესებულებაა, სადაც ბავშვი პირველად იგრძნობს პასუხისმგებლობას, მასწავლებლის პირველი შენიშვნით ან შექებით, პირველი ორიანით ან ხუთიანით. რამდენი ოსტატობა, რამდენი ცოდნა, რამდენი სიფრთხილე სჭირდება პედაგოგს, რომ ბავშვის სულის სიმები სწორად შეარხიოს, — არ გააუხეშოს, არ გააყალბოს ამ სიმთა ჟღერა.

პედაგოგად ისევე უნდა იბადებოდეს ადამიანი, როგორც პოეტად, მუსიკოსად ან მხატვრად იბადებიანო, ამბობენ ჩვენი პედაგოგიკის კლასიკოსები, და ეს ჭეშმარიტება ყოველ ფეხის ნაბიჯზე მტკიცდება სკოლის ცხოვრებაში.

ერთსა და იმავე კლასში, ერთი და იგივე მოსწავლე სულ სხვადასხვა დამოკიდებულებას იჩენს ამა თუ იმ პედაგოგისადმი, ერთისადმი თვინიერია, თავაზიანი, მორჩილი, მეორისადმი უხეში, უზრდელი, დაუმორჩილებელი. რა ხდება? — პირველი მასწავლებელი ნამდვილი პედაგოგია ამ სიტყვის ფართო გაგებით, მეორე კი შემთხვევითაა სკოლაში მოხვედრილი. ჯობდა მეორეს თავიდანვე სხვა პროფესია აერჩია. პედაგოგიკა შემთხვევით პიროვნებებს ვერ იტანს. ჩვენდა საუბედუროდ, სკოლებში საკმაოდ გვხვდებიან ასეთი ვაიპედაგოგები.

მასწავლებლისათვის ყველაფერს მნიშვნელობა აქვს, ასე გასინჯეთ, ხმასაც კი. ზოგიერთი მასწავლებელი ისეთი ცივი და მკივანა ხმით გაჰკივის გაკვეთილზე, რომ ძარღვებში სისხლი გაგეყინება. კეთილი ინებოს ასეთმა პედაგოგმა და იმუშაოს თავის ხმაზე ისე, როგორც ამას მსახიობები სჩადიან. — მასწავლებლის მსმენელები თეატრში მისულ მსმენელებზე ნაკლები როდი არიან.

მასწავლებლის ტკბილი, დაყვავებული კილოთი (ამაში ფსიქოლოგები დამეთანხმებიან) ბავშვი დამშვიდებულია, თითონაც ისეთივე თანაბარი ხმით პასუხობს, მაგრამ თუ მასწავლებელი ცივი ხმით გაჰკივის, დამერწმუნეთ, ბავშვი იბნევა და სწორ რეაქციას ვეღარ იძლევა. როგორი უნდა იყოს საერთოდ პედაგოგი—ამაზე საუბარი ალბათ ძალიან შორს წაგვიყვანდა.

მინდა ერთი ცუდი პრაქტიკის შესახებ აღვნიშნო, მე მგონია არ არის სწორი, როცა სკოლის ავ-კარგს ნიშნების საერთო სურათით წყვეტენ. თუ ერთ სკოლაში ბევრი ორიანია, ის სკოლა სუსტია. შესაძლოა პარადოქსალურად ჟღერდეს, მაგრამ შეფასების ეს მეთოდი სწორი არაა, რადგანაც ყველამ ვიცით, რომ ზოგიერთ ძალიან კარგს, ამასთანავე მომთხოვნ პედაგოგს აკადემიური მოსწრების უფრო ცუდი სურათი აქვს, ვიდრე რომელიმე სუსტ, მაგრამ ლიბერალ მასწავლებელს.

ჩემი, როგორც სკოლის დირექტორის, დიდი სურვილია მთელი მომთხოვნელობით შემოწმდეს კადრები და ამ საქმეში თავისი სიტყვა ათქმევინონ იმ დირექტორს, რომლის სკოლაშიც უნდა იმუშაოს ამა თუ იმ პედაგოგმა.

ის გზასაცდენილი ბავშვები, რომლებზეც ახლა ვილაპარაკეთ, თავის დროზე რომ კარგ, ნამდვილ პედაგოგებთან მოხვედრილიყვნენ, შესაძლოა სავალალო შედეგი თავიდან აგვეცდინა.

ჩემის აზრით, სკოლები ბავშვებით ძალიან გადატვირთულია. რა ქნას იმ დირექტორმა, რომლის სკოლაშიც 2.000 მოსწავლეა?

დაბოლოს, მინდა ერთი რამ აღვნიშნო: ის სკოლა, რომელიც ცდილობს დამნაშავენი გამოავლინოს და თავის პედაგოგიურ მუშაობაში გასაჭირის დროს დაიხმაროს მილიციის ოთახები, ნუ ჩაითვლება ყველაზე ცუდად. რომელი ჯობია? გყავდეს დამნაშავე და თვალი დახუჭო, თუ გამოავლინო იგი და გზაზე დააყენო? — მე მგონია, მეორე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი და ბავშვები

ნარკვევი

მე მინახავს ბევრი ნაძვის ხე, ზღაპრულად მორთული და მშვენიერი. მინახავს ნაძვის ხესთან ბედნიერი ბავშვების სიხარული. მაგრამ ახლა რატომღაც სულ სხვა ნაძვის ხე მიდგას თვალწინ.

ის ძალიან ღარიბული იყო. ბავშვებს მუყაოს სათამაშოებით მოერთოთ. მაინც სიხარული მოეტანა მას და ბავშვები ვერ ამჩნევდნენ მის სიღარიბეს. თუმც მაშინ ყველაფერში იგრძნობოდა სიღარიბე, ომისა და მწუხარების წლებში. თბილისის ერთერთ სკოლაში კი, სადაც ბავშვები ზამთარში პალტოებით ისხდნენ, ახალი წელი ნაძვის ხის მოსვლით მაინც დგებოდა. სკოლის ყოფილი დირექტორი ფრონტზე იყო. მისი პატარა გოგო და ბიჭი ყოველთვის მოდიოდნენ ახალ წელს ხელჩაკიდებულები, რომ სხვებთან ერთად წრე შეეკრათ, ფრონტული სიმღერები ემღერათ, გმირ მებრძოლებზე ლექსები ეთქვათ, ცოტა ხნით დავიწყებოდათ, რომ მამები ცეცხლის ხაზზე იდგნენ, დედები ღამღამობით ჩუმად ტიროდნენ, მოდიოდნენ, რომ მცირე საჩუქარი მიეღოთ და შინ გაჰყოლოდათ პატარა სიხარული. ეს სიხარული მათ ერთი წელი უნდა ჰყოფნოდათ, მომავალ ახალწლამდე.

გოგო-ბიჭი ხელჩაკიდებული ბრუნდებოდა შინ. მათ ყავისფერი ქაღალდისაგან შეკერილი პარკები ეჭირათ. ზოგიერთები იქვე ხსნიდნენ საჩუქრებს. ბავშვებს დიდი ხანია არ ენახათ კამფეტები და ნამცხვარი. საჩუქრები და-ძმას უხმოდ მიჰქონდა სახლში.

ზარი არ დაურეკიათ, ისე გაიღო კარი. ქალს მათი ფეხების ბაკუნი შორიდან გაეგონა. ბავშვებმა საჩუქრები გაუწოდეს. ისინი ქალს მკერდთან წვდებოდნენ. ქალმა მაგრად მიიკრა ორივენი.

ჩაიც აადუღეს. სიამოვნებით სვამდნენ ჩაის კამფეტით და ნამცხვრით. ყველანი კმაყოფილები იყვნენ — ბავშვები მით, რომ ქალს უხაროდა, ქალი მით, რომ ბავშვებს უხაროდათ.

ბავშვებს კი უხაროდათ, რომ ძვირფასი ადამიანისთვის მიენიჭებინათ სიამოვნება, რაღაცით მაინც გამოეხატათ ყურადღება, რაღაცით მაინც ეთქვათ მადლობა. ბავშვები არავის არ უტყდებოდნენ, რომ ქალი, რომელიც მათ ეალერსებოდა, ნამდვილი დედა არ იყო. არც თავიანთ თავს უტყდებოდნენ ამ ამბავში, რადგან ვერ წარმოედგინათ, რომ შეიძლებოდა ჰყოლოდათ დედა და უფრო მეტად ჰყვარებოდათ.

მათ ახსოვდათ, როგორ მოვიდა ახალგაზრდა ქალი მამასთან ერთად სახლში.

გოგონა სადგურში დახვდა მატარებელს. გოგონა ბიჭზე უფროსი იყო. მას თავზე დიდი ბაფთა ეკეთა და ხელში ყვავილები ეჭირა. ქალმა მზრუნველად გაუსწორა ბაფთა და მაგრად აკოცა.

ბიჭი არ წამოეყვანათ. მას საწოლში ჩასძინებოდა. ბავშვს ლოდინში სინათლე არ ჩაექრო, ხელი ბალიშის ქვეშ ამოედო და წამწამები ლოყაზე ეფინა.

დილით, როცა ქალი მხიარულად შევიდა მასთან, ბიჭუნამ იუცხოვა, მაგრამ დაემორჩილა, საალერსოდ თავი დაანება, მერე ჩაიცვა, ხელ-პირი დაიბანა.

ბავშვები ერთხანს გაურბოდნენ. გოგონა ხშირად იმიზეზებდა დეიდასთან წასვლას, ცდილობდა შინ არ ყოფილიყო. ქალი რამდენჯერმე თვით წაჰყვა დეიდასთან და დაახლოვდნენ. ბიჭუნა მიჯდებოდა კუთხეში ჩუმად და მარტო აშენებდა სახლებს. ენგრეოდა, ორივენი იცინოდნენ და შემდეგ ერთად აშენებდნენ. ბავშვები მამაზე უფრო ქალთან დაახლოვდნენ. მამა დილას მიდიოდა და ღამე მოდიოდა, ქალი სულ მათთან იყო, ყოველ წუთს.

ბავშვებს ახსოვდათ, როგორ მოვიდა პირველად ქალი მათ სახლში.

მაგრამ ის კი არ იცოდნენ, რას ფიქრობდა ქალი, სანამ მათთან მოვიდოდა.

შეიძლება არც ახლა იციან, როცა თვითონ არიან მშობლები და ჰყავთ შვილები.

ქალს ეწვია დიდი სიყვარული. შეუყვარდა კაცი, რომელსაც ორი შვილი უდედოდ ეზრდებოდა. ქალს შეეშინდა, როცა ეს გაიგო. იფიქრა, სხვის შვილებს არ ვეყვარებიო. ის სოფლის სკოლაში ბავშვებს გეოგრაფიას ასწავლიდა. მას უყვარდა ბავშვები და ვერ წარმოედგინა არ შეყვარებოდა ამ კაცის შვილები. ქალმა უკვე იცოდა რა უყვარდათ მათ, რომელ ლექსებს ამბობდნენ, იცოდა, როგორ ალაგებდა გოგონა ოთახს, იცოდა, როგორ ეშინოდა ბიჭს შეეხედა დედის დიდი სურათისათვის, იცოდა, რომ მას უჭირდა ღია აივანზე გასვლა, საიდანაც 4 წლისამ უკანასკნელად დაინახა, როგორ მიჰყავდათ მოტირალებს დედა. ქალმა წინასწარ, ნახვამდე შეიყვარა ბავშვები, და როცა ცოლად გაჰყვა კაცს, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საკუთარი შვილი არ გაეჩინა.

გოგო და ბიჭი საკმარისი იყო მისთვის, გოგო და ბიჭი იქნებოდნენ მისი შვილები და არ უნდოდა ვინმე შესცილებოდა მათ სიყვარულში.

ეს ფიქრები შეიძლება დღეს პირველად გაიგონ მისმა ვაჟიშვილმა და მისმა ქალიშვილმა, რომლებიც თვით არიან მშობლები და ჰყავთ შვილები.

ერთხელ ბიჭმა დაინახა, როგორ გამოიღო დედის სურათი ქალმა, გაწმინდა, მტვერი მოაშორა და იმ ოთახში დაჰკიდა, სადაც ქმართან ერთად ეძინა. ბიჭმა თვალი ვერ გაუსწორა სურათს, გაიქცა, სხვა ოთახში დაიმალა და მერე თუ იქ შევიდოდა, საწოლის პირდაპირ კედელზე დედის სურათს ვერ უყურებდა.

ზოგჯერ ქალი გამოაწყობდა ორივეს, ერთმანეთს ჩასჭიდებდნენ ხელს და სასაფლაოზე მიდიოდნენ. ბიჭი აქაც ნახულობდა დედის სურათს, მაგრამ უფრო პატარას. ქალი ასუფთავებდა სურათს, იდგნენ ჩუმად, ხმას არ იღებდნენ, მერე ყვავილებს დააწყობდა გოგონა და შინ ბრუნდებოდნენ.

მამამ შეიძლება არც იცოდა, როგორ ცხოვრობდა მისთვის ძვირფასი ეს სამი არსება მაშინ, როცა ის შინ არ იყო.

ერთი წლის გათხოვილი იყო ქალი, ომი რომ დაიწყო. ქმარი მაშინვე არმიაში წავიდა. ჯერ კიდევ არ დადინჯებულიყო გრძნობა, ჯერ თითქოს კარგადაც არ გასცნობოდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ ქალს ეგონა, რომ ეს ერთი წელი იყო გრძელი სიზმარი, რომელიც გათავდა. ზოგჯერ ეგონა, რომ არც კი ყოფილა გათხოვილი. მაგრამ ბავშვები ახსენებდნენ, რომ ეს ასე არ იყო.

მამა წავიდა. ბავშვებს ეშინოდათ ქალიც არ წასულიყო. ბავშვები ხედავდნენ მას მოწყენილს და ყველაფერს უგონებდნენ. ბავშვები სკოლიდან სულმოუთქმელად ბრუნდებოდნენ, არბოდნენ კიბეებზე, ღელავდნენ, გააღებდა თუ არა კარებს ქალი, მშვიდდებოდნენ, როცა კარებს ის აღებდა და ორივეს ეხვეოდა.

სანამ საქართველოში იდგა ქართული დივიზია, მამა ხანდახან ჩამოდიოდა მათთან. ზოგჯერ ქალი და ბავშვები მიდიოდნენ მის სანახავად. ბიჭს უხაროდა და ქალსაც უხაროდა, როცა მატარებელში მგზავრები ამბობდნენ: დედა-შვილი ერთმანეთს ჰგავსო.

ქართული დივიზია ფრონტზე წავიდა და მამაც თან გაჰყვა. ქერჩის ცხარე ბრძოლები რომ გაჩაღდა, ქალი ისე დადიოდა ოთახში, თითქოს შინ მძიმე ავადმყოფი ჰყოლოდეს. ბავშვებიც მასავით დადიოდნენ. ისინი ყოველდღე ყარაულობდნენ ფოსტალიონს. წერილებს ერთად კითხულობდნენ, ხმამაღლა. პასუხსაც ერთად წერდნენ. ბავშვებისთვის დაფარული არაფერი არ იყო.

სიკვდილი ყოველდღე შეიძლებოდა მოსულიყო, არავისთვის არ ეკითხა და თავზე დატყდომოდათ. თვეში ერთხელ ქალი ღელვით მიდიოდა ქმრის ხელფასის ასაღებად, იქნებ არ არის ცოცხალი და უარი მითხ-

რან ფულზეო. ბავშვები შიშით ელოდნენ, როდის მოვიდოდა და დაინახავდნენ მის სახეზე სიმშვიდეს.

თუმცა ყუმბარები არ სკდებოდა მათთან, მაგრამ ომი იყო მათ ოჯახშიც, მათ გულებშიც. ცდილობდნენ კი ერთმანეთისთვის დაემალათ მისი სიმძიმილი.

წერილები შეწყდა. ბავშვებს ეშინოდათ ქალს ძალიან არ ედარდა, რამე არ აეტეხა თავისთვის. ჩუმად უთვალთვალებდნენ. ბავშვები დილას სახეშეცვლილს ხედავდნენ ქალს და მძიმე გულით მიდიოდნენ სკოლაში. ქალს მაინც ჰქონდა მათთვის საუზმის ფული, საჭმელი, მთელი ფეხსაცმელები, გაუთოებული კაბა, გამოუხეველი შარვალი. თუმც ღამით გაუთბობელ ოთახში იძინებდნენ, მაგრამ ერთმანეთის სითბოთი თბებოდნენ. ქალს ბავშვები ატანინებდნენ მწუხარებას.

ორჯერ მამის ამხანაგების წერილი მოვიდა. იწერებოდნენ, რომ მამა დაჭრილია და მალე მოვაო. ქალი ატყობდა, რომ რაღაცას უმალავდნენ, მაგრამ არ სურდა დარწმუნებულიყო ცუდ ამბავში.

მერე ფულიც შეწყდა. ქალს უთხრეს, რომ ქმარი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ქალისთვის თითქოს გათავდა ყველაფერი.

ომმა წაართვა ქმარი, დააკარგვინა ცოლობა. დედობა კი დაუტოვა, ქმრის შვილების დედობა. და ამან უშველა. თანდათან გამოერკვა. მიხვდა, რომ მარტო არ იყო, მასთან იყვნენ მისი ქალიშვილი და მისი ვაჟიშვილი.

ქალმა სამსახური დაიწყო. შესვენებაზე შინ მორბოდა, რომ ბავშვებისთვის დაეხედა. საღამოს ცოტას რომ დააგვიანებდა, ბავშვები ქუჩაში ელოდნენ. მათ უერთმანეთოდ არ შეეძლოთ, ვერ წარმოედგინათ მოშორებოდნენ ერთმანეთს.

ბიჭმა რომ სწავლაზე გული აიცრუა, ქალმა სამსახური მაინც ვერ მიატოვა. ის იყო ბავშვების ერთადერთი მარჩენალი. ამიტომ ბიჭი სოფელში წაიყვანა მამიდასთან. მძიმე იყო მათი გამოთხოვება. ბიჭი ქალს ეხვეწებოდა არ დამტოვოო. ქალი შეპირდა, რომ ხშირად ჩავიდოდა და ძლივს დაამშვიდა. ბიჭი შეეჩვია მის მოლოდინს, შეეჩვია თვის ბოლოს მასთან შეხვედრას, მოუთმენლად ელოდა ზაფხულს, როცა ქალი და გოგონა ერთად ჩადიოდნენ სოფელში დასასვენებლად.

ომი დამთავრებული იყო, ბავშვები რომ სტუდენტები გახდნენ. ქალიშვილი ადვილად მოეწყო ინსტიტუტში, ბიჭს კი გაუჭირდა. ამაზე იმდენი ინერვიულა ქალმა, რომ ქმარი და თავისი მწუხარება დაავიწყდა. მან ყველაფერი ახალი შეუძინა ვაჟიშვილს: ფეხსაცმელი, კოსტუმი და სტუდენტობისთვის გამოაწყო. იმ წელიწადს ვაჟიშვილმა უმაღლესში მისაღები გამოცდები ვერ ჩააბარა. ქალმა ძლივს გადაიტანა ეს ერთი წელი. მასთან ერთად ეცნობოდა ჩასაბარებელ საგნებს, მასთან ერთად მეცადინეობდა, და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა ბიჭი უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

მხატვარი ნანა მესხიძე



ვაჟიშვილმა შეეყვარებული გაიჩინა და ქალმა ყველაფერი იცოდა, ამაზე თვით ვაჟიშვილი ეუბნებოდა. იცოდა, როდის იყვნენ ისინი ერთმანეთთან კარგად და როდის იბუტებოდნენ. ქალს ხშირად შეურიგებია ისინი, ხშირად უყიდია გოგონასთვის საჩუქარი. და მაშინ ვაჟიშვილი გახარებული შემოდიოდა სახლში. ქალისთვის ეს იყო ყველაფერი.

რძალი და სიძე თითქმის ერთდროულად მოვიდნენ ოჯახში. ისინი მისი შვილების ტოლები იყვნენ. ახალგაზრდებს ჯერ კიდევ სჭირდებოდათ ზრუნვა და რჩევა. ქალი შვილებთან ერთად რძალსა და სიძეს უვლიდა, მერე შვილიშვილების გაზრდა დაიწყო.

ახლა იგი პენსიაზეა და ყველანი ერთად ცხოვრობენ, ტკბილად და მხიარულად. მათ ოჯახში ხმამაღალი სიტყვა და წყენა არავინ იცის. ეს ქალის დამსახურებაა. ქალი გულდამშვიდებულია, სასახელო შვილები დაზარდა, ნაღველმა ცოტა მიიძინა, თუმც ორი წლის წინ თითქოს ხელახლა დაკარგა ქმარი. სამამულო ომის გმირებზე დაწერილ წიგნში დაღუპულთა შორის ქმრის გვარიც ნახა. აქამდე მაინც ცოცხალი ეგონა, ახლა კი დარწმუნდა, რომ ომმა სამუდამოდ წაართვა ქმარი და ცოლობა.

მხოლოდ დედობა დარჩა!

ასეთი დედობა ბევრს შეშურდება!

მე ვიცი დედები, რომლებიც ტოვებენ შვილებს და სხვას მიჰყვებიან.

მე ვიცი დედები, რომლებიც ბავშვთა სახლებში აბარებენ შვილებს და აღარ აკითხავენ.

საბედნიეროდ ისინი ცოტანი არიან!

ასეთი დედები კი ბევრნი უნდა იყვნენ — ქმრის შვილები საკუთრად რომ გაიხადა, უდედო ბავშვებს დედის სიყვარული რომ აგრძნობინა, უმამო ბავშვებს მამობა რომ გაუწია!

ამიტომ მათ ოჯახში ყველას საზრუნავი დედის კარგად ყოფნაა. დედაა ყველაფერი, პირველი სიტყვა დედას ეკუთვნის. მაგრამ არავინ იცის მათი ამბავი და მეც მთხოვეს მათზე არაფერი დამეწერა.

მათ არ სურთ ვინმემ გაიგოს, რომ ისინი სისხლით და ხორცით ერთნი არ არიან.

მაპატიონ ჩემმა ახალგაცნობილებმა, მათ შესახებ რომ დავწერე.

ვერ შევძელი მათი ნახვის მერე სხვებისათვისაც არ მეთქვა ის, რაც მე ვიგრძენი.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქულინარია

## ნამცხვრები ფენოვანი ცომისაგან

ფენოვანი ცომისაგან მრავალი სახის ნამცხვარი მზადდება. ცომი ასე მოამზადეთ: ერთი კვერცხი ცილიან-გულიანად ათქვიფეთ მომინანქრებულ პატარა ჭურჭელში, დაასხით ოთახის ტემპერატურის ერთი ჭიქა წყალი, უყავით ნახევარი ჩაის კოვზი მარილი, ერთი სუფრის კოვზი ძმარი (ან ერთი მეოთხედი ჩაის კოვზი ლიმონის სიმჟავე), უმაღლესი ხარისხის ფქვილი, იმდენი, რომ საშუალო სისქის ცომი გამოვიდეს. ცომს რომ მოზელთ, ოცი წუთით შეინახეთ გრილ სათავსოში ან მაცივარში. ამასობაში, 200 გრ კარაქი კარგად გალესეთ ნახევარ ჩაის ჭიქა ფქვილთან ერთად, ისე, რომ ადრე მოზელილი ცომის სისქე გამოვიდეს. უმჯობესია, თუ ამ პროცესს „კატალკით" ჩაატარებთ, რომ კარაქი არ გალღვეს. კარაქს სწორკუთხედის ფორმა მიეცით. ცომი კი კარაქის ზომაზე ორჯერ მეტად გააბრტყელეთ, შიგ მოათავსეთ კარაქის ფენა, კონვერტისებურად დაკეცეთ და ბოლოები კარგად დაუხურეთ. გააბრტყელეთ და სწორკუთხედის ფორმა მიეცით. გადაკეცეთ ისე, რომ ბოლოები ერთმანეთს შეახვედროთ, შემდეგ შუა ნაწილიდან, სადაც ბოლოები ერთდება, კიდევ მესამედ გადაკეცეთ და ცომი ოცი წუთით შეინახეთ ცივ სათავსოში. ეს პროცესი გაიმეორეთ სამჯერ და სამივეჯერ ცომი ოც-ოცი წუთით შედგით ცივ სათავსოში.

ფენოვანი ცომი მზადაა. მისგან შეგიძლიათ მოამზადოთ ნ ი გ ვ ზ ი ა ნ ი ნ ა მ ც ხ ვ ა რ ი.

ერთი ჭიქა დაკეპილი ნიგოზი, ერთი ჩაის ჭიქა შაქარი, ცოტა ვანილი და ერთი კვერცხის ცილა (კვერცხის გულს მოიტოვებთ ღვეზელის ზემოდან მოსასმელად) კარგად შეურიეთ ერთმანეთს.

გამზადებულ ცომს თანდათან ცოტ-ცოტა ჩამოაჭერით ისე, რომ ცომს მიმართულება არ შეუცვალოთ, არც გადაკეცოთ — მეტ გადაკეცვას ის აღარ საჭიროებს. გააბრტყელეთ დაახლოებით 8 მმ-ის სისქის ოთხკუთხ ნაჭრებად. თითოეულში მოათავსეთ ერთი ჩაის კოვზი ნიგვზის ჩანართი, გადაკეცეთ სამკუთხი ფორმით, ბოლოებზე ხელი დააჭირეთ, რომ ფორმა შეინარჩუნოს. ზემოდან მოუსვით კვერცხის გული (ერთი კვერცხის გული გახსენით ერთ სუფრის კოვზ რძეში ან წყალში), დააწყვეთ გაზქურის ცივ ტაფაზე და მაღალ ტემპერატურაზე გამოაცხვეთ.

ფენოვანი ცომისაგან მზადდება ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი, მილაკები (ტრუბოჩკა), ენა და სხვა.

ზემოთმოცემული ცომის რაოდენობისაგან ნაპოლეონის სამი ფირფიტა გამოცხვება. ზომად აიღეთ გაზქურის ტაფები. გაზქურაში ცეცხლი მაღლა დააყენეთ. გამომცხვარი ფირფიტები რომ გაცივდება, სამივეს ნაპირები ერთნაირად შემოუსწორეთ. ჩამონაჭრები დაფხვენით და შეინახეთ ზემოდან მოსაყრელად.

ფირფიტებს კრემი წაუსვით, ერთმანეთზე დააწყეთ, ზევიდან ფირფიტების ნაფხვენები მოაყარეთ, კიდევ ზევიდან — შაქრის პუდრი და ნაპოლეონი მზადაა.

მ ი ლ ა კ ე ბ ი ს დასამზადებლად ცომი 3 მმ სისქეზე გააბრტყელეთ. ჩამოაჭერით 2 სმ სიგანისა და 15 სმ სიგრძის ზოლები. დაახვიეთ საამისოდ განკუთვნილ ფორმებზე, ზევიდან წაუსვით კვერცხის გული და გამოაცხვეთ ისევე, როგორც ფენოვანი ცომის სხვა ნამცხვრები (ე. ი. მაღალ ტემპერატურაზე). გაგრილებული მილაკები ამოავსეთ კრემით.

**ნელი მერკვილიშვილი**

# სასარგებლო რჩევები

როცა თეთრეულს ახამებთ, წყალში ჩაუმატეთ რამდენიმე სუფრის კოვზი რძე. დაუთოვებისას უთო თეთრეულს არ მიეწებება.

მარილი არ დატენიანდება, თუ სამარილეში რამდენიმე მარცვალ ბრინჯს ჩაყრით.

სპილენძის ჭურჭელი ხელახლა ალაპლაპდება, თუ მას გაწმენდთ ლიმონის წვენში დასველებულ და მარილმოყრილ შალის ნაჭრით, მერე გარეცხავთ წყლით და მაშინვე მშრალი შალის ნაჭრით გაამშრალებთ.

თუ ქვაბს უსიამოვნო სუნი შეატყვეთ, მარილწყალში გარეცხეთ.

ტყავის ნაწარმიდან მელნის ლაქის ამოყვანა ასე შეიძლება: ლაქას ხქლად მოაყარეთ სველი მარილი და ასე დატოვეთ ორი დღე. შემდეგ მარილი გადაფერთხეთ, გაწმინდეთ ეს ადგილი სველი ღრუბლით ან ჩვრით, წაუსვით სკიპიდარი და კარგად გააპრიალეთ.

მომინანქრებულ ჭურჭელს, მინის ლარნაკებს და წყლის დოქებს ადვილად მოცილდება ნალექი, თუ შიგ ჩაასხამთ მარილიან ძმარწყალს.

თუ სარდაფში მატლები, ჭიანჭველები ან სხვა მწერები გაჩნდა, სარდაფის იატაკს მარილი მოაყარეთ და 2-3 დღის შემდეგ გამოგავეთ დახოცილი პარაზიტები.

ახალი ფეხსაცმლის ლანჩები არ ისრიალებს, თუ გადაჭრილ კარტოფილს წაუსვამთ.

ჭერისა და კედლების შეთეთრების დროს დასვრილი კარ-ფანჯრები ადვილად გასუფთავდება ძმრიანი წყლით (ერთი წილი ძმარი ორ წილ წყალზე).

ფიკუსის ფურცლები ლამაზ მწვანე ფერს მიიღებს, თუ მათ შავ ლუდში დასველებული ჩვრით გაწმენდთ.

ფანჯრის მინებს ბრწყინვალებას ანიჭებს ნავთისა და წყლის ნარევი (ერთი სუფრის კოვზი ნავთი 8 ლიტრ წყალზე).

თუ თეთრი მიტკალი ან სელის ნაწარმი უთოთი დაგეწვათ, ქსოვილი ერთი ღამით დაასველეთ მაწვნისა და წყლის ნარევში (1 წილ წყალზე 1 წილი მაწონი).

ღია ფერის ტყავის ნაწარმი და ხელთათმანები იწმინდება რბილი ჯაგრისით ან ძმარწყლით (წყალი და ძმარი თანაბარი რაოდენობით აიღეთ), გაწმენდილი ადგილები მშრალი ნაჭრით შეამშრალეთ და წაუსვით ათქვეფილი კვერცხის ცილა, რომელშიც ჩამატებული იქნება რამდენიმე წვეთი სკიპიდარი. რის შემდეგაც გადაწმინდეთ შალის მშრალი ნაჭრით.

მანიკურის მაკრატელს ჟანგი შეიძლება მოვაცილოთ პაპიროსის თბილი ფერფლით.

თუ საჭმლის კარადაში უსიამოვნო სუნი დადგა, შიგ ერთი ღამით დადგით მდუღარერძიანი ლამბაქი და კარადის კარი მაგრად გამოკეტეთ. სუნი გაქრება.

თუ ფქვილი დაგიმწარდათ, ერთი ღამით მოათავსეთ შიგ ხის თბილი ნახშირი.

კარტოფილის ნახარშით მშვენივრად იწმინდება ვერცხლისა და მოვერცხლილი ჭურჭელი.

ყავის ნალექით კარგად იწმინდება ქვაბის ძირები და ჭუჭყიანი ხელები.

კვერცხის ნაჭუჭი საუცხოო სასუქია ოთახის ყვავილებისათვის. დანაყეთ ნაჭუჭი და მიწას შეურიეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლონური იუმორი

ანა ლეხიცკა

## ესთეტიკა



ჩემი უბედურება ჩემივე გადაჭარბებული ესთეტიკური გემოვნება გახლავთ. ამ საკითხში ვერავითარ კომპრომისზე ვერ წავალ. მაგალითად, თუ წინასწარვე ვიცი, რომ რაიმე უსიამოვნო საუბარი მელის, ყერსეს კაბა უნდა ჩავიცვა, რადგან ასეთი სამოსი უფრო შეეფერება ნაღვლიან საუბარს.

ჩვენმა ქორწილმა დიდის ამბით ჩაიარა, რადგან მწვანე კრეპსატინის კაბა მეცვა; ანტონმაც ჩემს ჩაცმულობას შეუხამა თავისი ტანსაცმელი.

მიუხედავად ამისა, ანტონში მწარედ მოვტყუვდი. ჩვენი ქორწილის მეორე დღეს მან ყავისფერზოლიანი პიჯაკი ჩაიცვა და მივხვდი, რომ შევცდი!

როგორ გამიტყდა გული, როდესაც ანტონი ქერათმიან ლეოკადიას მკლავებში დავინახე! მერე როგორ იყვნენ ჩაცმული! ანტონი ყვითელზოლებიანი ფანელის პიჟამოში, ქალს კი მთლად უგემოვნო ლილისფერი მსუბუქი პერანგი ეცვა. უბადრუკი სანახაობა იყო!

მუშტებმოკუმული ვიდექი კარებში, საჭირო იყო აჩქარება, მაგრამ ახლა მთავარი ის გახლდა, რომელ კაბაში გამეთამაშა ეს დრამა. ვარდისფერ საპლაჟო კაბაში? ეს ხომ უგემოვნობა იქნებოდა! შევედი ჩემს ოთახში და უბრალო სადა კაბა ჩავიცვი. ჩავიხედე სარკეში — დიდებულია, მომხიბლავია! გული დავიმშვიდე და გავემართე საწოლი ოთახისაკენ. დახეთ, ეს საძაგლები უკვე გამქრალიყვნენ.

გაყრა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რა ჩამეცვა. მუქი კოსტუმის გარეშე გაყრა შეუძლებელია. ანტონი ხომ ყოველთვის საშინლად უგემოვნოა წვრილმანებში! მთელი გაყრის პროცესი დახვეწილი გემოვნების საშინელ უგულებელყოფად იქცა. ანტონს მუქზოლებიანი კოსტუმი ეცვა, მე კი — წითელზოლებიანი. საზარელი სანახაობა იყო!

გადის ხანი და ანტონი მდოგვისფერი კოსტუმით მხვდება. იგი ნაღვლიანად გამოიყურება. „დამიბრუნდი!" ის-ის იყო უნდა გადავხვეოდი, რომ მყისვე გამახსენდა: ჩემი ზღვისფერი წამოსასხამი სრულიად არ შეეფერებოდა მდოგვისფერ კოსტუმს. წავედი მკერავთან და მოვახსენე: „ქალბატონო კაროლინე, მე ახალ ცხოვრებას ვიწყებ, მაგრამ როგორ? საამისოდ შესაფერი კაბები არ გამაჩნია. ასე ჩემს ბედნიერებას ვერ მოვაწყობ". და ჩემს ბედნიერებას კიდევ ორი თვე უნდა დაველოდებოდი.

და, აი, როცა პაკეტით ხელში სახლში ვბრუნდებოდი, ანტონი და ლეოკადია ხელიხელგაყრილნი შემომხვდნენ ქუჩაში. გადავწყვიტე, თავი მომეკლა, მაგრამ განა ეს ასე იოლია? ამასაც ხომ შესაფერი ტანსაცმელი სჭირდება! ჩემი მკერავი კიდევ ორი თვე მაზოზიალებს და იქამდე ხომ მოდაც გადასული იქნება! ჰოდა, ამ მოდებს გადაყოლილი, აღარც ცოცხლებში ვურევივარ და აღარც მკვდრებში.

თარგმნა მ. ქურდოვანიძემ

გარეკანზე — „ვეფხვების დედა". მხატვარ დ. ზარაფიშვილის გრაფიკული ნამუშევარი.


| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა. | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონები — 99-98-71. 99-50-39. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1.75. პირობით ფორმ. რაოდ. 5.3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/II, 69 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 220. უე 02007. ფასი 80 კაპ.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალთა საბჭოების საყურადღებოდ

გასულ წელს ჩვენი რედაქციის მიერ დაწესებული ჯილდო—„ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მანდილი“—მიენიჭება რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ქალთა საბჭოებს შემდეგი მაჩვენებლებით:

1. როგორ ილწვის საბჭო ქალთა შრომის, დასვენებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის,

2. ქალთა კულტურული დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

3. როგორ ეხმარება დედებს ბავშვთა აღზრდაში: ზრუნავს აღმზრდელობითი დაწესებულებების დაარსებისა დს არსებულის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ოჯახების ზრდა-განმტკიცებისათვის, მოზარდთა დანაშაულობის შემცირებისათვის, მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებისათვის.

საუკეთესო ქალთა საბჭოების მუშაობა, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წარდგინებით, ილუსტრირებული იქნება „საქართველოს ქალის“ ფურცლებზე.

მუშაობის შედეგების დაჯამება მოხდება კონკურსის ჟიურის მიერ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76178